„... და მაშინ
განისვენებს ყოველი
ქართველი“

№25, ოთხშაბათი, 26 სექტემბერი – 9 ოქტომბერი, 2001 წელი

ფასი 40 თეთრი

# ინფორმაცია

## საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სესიის მორიგი სხდომის შესახებ

2001 წლის 22 სექტემბერს ქალაქ თბილისში ჩატარდა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სესიის მორიგი სხდომა.

დღის წესრიგში შეტანილი იყო შემდეგი საკითხები:

1. საორგანიზაციო საკითხი;
2. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს განცხადება ტერორიზმის დაგმობის შესახებ;
3. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მიმართვა საზღვარგარეთ მცხოვრები თანამემამულეებისადმი;
4. საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის ქალბატონი მანანა არჩვაძე-გამსახურდიას მოხსენება საქართველოში არსებული პოლიტიკურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ;
5. სხვადასხვა.

კამათში მონაწილეობდნენ დეპუტატები: მერაბ საყვარელიძე, ჯემალ იონათამიშვილი, ტარიელ ფუტკარაძე, თამაზ ყურაშვილი, ალექსანდრე ვარძელაშვილი, ბიმურზა აფრასიძე, გურამ მაქაცარია, ლადო ცოფურაშვილი, ზურაბ ძოწენიძე, ალექსანდრე ჟღენტი და სხვები.

---

### საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

# მიმართვა

### საზღვარგარეთ მყოფი თანამემამულეებისადმი

უცხოეთში მყოფო ჩვენო თანამემამულენო!

1991-93 წლებში პუტჩით კანონიერი ხელისუფლების დამხობის შემდეგ საქართველოში დატრიალებულმა ანტისახელმწიფოებრივმა მოვლენებმა სამშობლოს ფარგლებს მიღმა ცხოვრება გარგუნათ. მრავალი თქვენგანი საქართველოს უაღრესად მძიმე, პოლიტიკურ-ეკონომიკური ვითარების გამო განერიდა, რათა საკუთარი ოჯახები ღირსეულად შეენახა. სწორედ ოჯახია ჩვენი სახელმწიფოებრიობის ბურჯი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო დარწმუნებულია, რომ სადაც არ უნდა იმყოფებოდეთ და რა ვითარებაშიც არ უნდა იყოთ მოხვედრილი, სათანადოდ ატარებთ ჩვენი სამშობლოს შვილის სახელს.

ღრმად გვჯერა, რომ კანონიერების აღდგენას და დამკვიდრებას თქვენც შეძლებისდაგვარად შეუწყობთ ხელს, რაც გარანტიაა იმისა, რომ თქვენ და თქვენი შვილები თავისუფალ და დემოკრატიულ საქართველოში იცხოვრებთ.

ჩვენ ერთობლივი ძალისხმევით უნდა შევძლოთ ისეთი სახელმწიფოს აშენება, სადაც თქვენ ჩვენთან ერთად იღვაწებთ მომავალი თაობებისათვის!

გისურვებთ სამშობლოში მალე დაბრუნებას.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო

# 27 სექტემბერი – ჯვართამაღლება



აცხოვნე, უფალო, ერი
შენი, და აკურთხე
სამკვიდრებელი შენი.
ძლევაჲ ჯუარითა
ბარბაროსთა ზედა
ღმრთივდაცულსა ერსა
ჩუენსა მოანიჭე და
საფარველსა ქუეშე
შენსა დაიცევ, რაჲთა
ვიტყოდეთ: უფალო,
დიდებაჲ შენდა.

ჯემალ იონათამიშვილი:

## ვის და რატომ ვუჭერთ მხარს

*ე.წ. საპარლამენტო პარტიები, მმართველი იქნება ის, თუ ვითომდა ოპოზიციური, ერთად იღებდნენ იმ კანონებსა და გადაწყვეტილებებს, რომლებმაც ქვეყანა კატასტროფამდე მიიყვანა...*

*რაში გამოიხატებოდა საპარლამენტო ოპოზიციის ოპოზიციურობა? – არ მოსწონდათ მოქალაქეთა კავშირი ამ ორგანიზაციის შემქმნელისა და მეთაურის, შევარდნაძის მიმართ კი პრეტენზია ბოლო დრომდის არცა ჰქონდათ, თითქოს, მოქალაქეთა კავშირი ქვეყანას შევარდნაძის გარეშე ანგრევდა. და საერთოდ, მოიძებნებოდა კი ისეთი პარტია, თუ ჯგუფი, რომელიც არ აღფრთოვანდებოდა, თუკი შევარდნაძე მოქალაქეთა კავშირის ნაცვლად სწორედ მას აირჩევდა საყრდენ ძალად? – ასე, რომ მათი მიზანი არც ისე ძნელად გამოსაცნობია.*

გვ. 2

## რეპორტაჟი ქუთაისის ქუჩებიდან

*ჩემი პროფესიის გამო საზღვარგარეთ წასვლა შემეძლო, წავიდნენ ჩემი მეგობრები, მირეკავენ, ჩამოდი, მანდ რას იკლავ თავსო... შეიძლება არ დამიჯეროთ, მაგრამ არ შემიძლია საქართველოს გარეშე, არც პატარა შვილის მიტოვება შემიძლია, ჩემთვის ერთნაირად ძვირფასია ორთავე.*

გვ. 4

ზურაბ გოგოხია:

## რას ეტყვით თქვენს ერს და მომავალ თაობას?..

*ხელისუფლებას მინდა შევახსენო: ქართველ ერს არ სჭირდება ჩასწვდეს ამერიკის სულს, პირიქით, ამერიკელები უნდა ჩასწვდნენ ქართულ სულს, ქართველი ერის უსაზღვრო სულიერ სამყაროს.*

გვ. 2

ბაჩო იმერლიშვილი:

## „ბარბაროსი“ სარდალი და „ცივილიზებული სარდალი“

*დღეს, იმ დროიდან 16 საუკუნის შემდეგ, „ცივილიზებული სარდალი“ ედუარდ შევარდნაძე საქართველოში შემოუძღვა ბოროტების იმპერიის შეიარაღებულ ბანდებს... ჯერ გაძარცვა დიდი მწერლის, კონსტანტინე გამსახურდიას სახლ-მუზეუმი, მერე ცეცხლს მისცა არქივითურთ!..*

გვ. 7

## «შადიმანიზმი» XXI საუკუნის მიჯნაზე

გვ. 4

თორნიკე ეფრემიძე:

## დიდოსტატი კონსტანტინეს ჯადოსნური სიტყვის ძალა

*გააქტიურდა მოსყიდულ კრიტიკოსთა და ენთუზიასტ მჯღაბნელთა თავდასხმები ბატონ კონსტანტინეზე, როგორც „უღირსი შვილის“ მამაზე. ისინი მკითხველებს არწმუნებდნენ, ვითომ ბატონი კონსტანტინე გულწრფელად გმობდა შვილის საქციელს.*

გვ. 3

# ვის და რატომ ვუჭერთ მხარს

უკანასკნელ ათწლეულში საქართველოში მოვლენების განვითარებამ ყველასათვის, პოლიტიკასთან მეტ-ნაკლებად შეხებაში მყოფისა, თუ რიგითი ობივატელისათვის ცხადი გახადა შევარდნაძისა და მისი რეჟიმის არსებობის ლოგიკური შედეგი - ქვეყნის პოლიტიკურ, საზოგადოებრივ და სოციალურ სფეროთა კატასტროფული ტემპით ნგრევა. დღეს ფაქტობრივი ხელისუფლების მაღალჩინოსნებიც საჯაროდ აღიარებენ, რომ ქვეყნის სახელმწიფოებრიობა რეალური საფრთხის წინაშე დგას, უფრო მეტიც, საქართველოს უკვე არშემდგარ სახელმწიფოსაც კი უწოდებენ.

ქვეყანას შველა სჭირდება! - ვინ აიღებს ამ მისიას საკუთარ თავზე, ხალხი ვის უნდა მიემხროს? - იქნებ საპარლამენტო ოპოზიციას? - ცხადია არა, რადგან ამ 10 წლის განმავლობაში წარმოაჩინეს თავიანთი ნამდვილი სახე. პუტჩში პირდაპირ თუ ირიბად მონაწილეობას თავი რომ დავანებოთ, მათ ხომ თავიდანვე, პარტიულ რეგისტრაციიდანვე სიცრუით დაიწყეს - ოფიციალური ცნობის მიხედვით, ასეთი პარტიების წევრთა საერთო რაოდენობა თურმე 17 მილიონს ითვლის (ანუ საქართველოს მოსახლეობაზე რამოდენიმეჯერ მეტს(?!))...

ე.წ. საპარლამენტო პარტიები, მმართველი იქნება ის, თუ ვითომდა ოპოზიციური, ერთად იღებდნენ იმ კანონებსა და გადაწყვეტილებებს, რომლებმაც ქვეყანა კატასტროფამდე მიიყვანა. საპარლამენტო ოპოზიციებისაგან შთამომავლობა ვერ მიიღებს გასასამართლებელ საბუთს, თითქოს ხსენებული კანონებისა თუ გადაწყვეტილებების მიღების წინააღმდეგ იბრძოდნენ.

ანდა, საერთოდ რაში გამოიხატებოდა მათი ოპოზიციურობა? - არ მოსწონდათ მოქალაქეთა კავშირი. ამ ორგანიზაციის შემქმნელისა და მეთაურის, შევარდნაძის მიმართ კი პრეტენზია ბოლო დრომდის არცა ჰქონდათ, თითქოს, მოქალაქეთა კავშირი ქვეყანას შევარდნაძის გარეშე ანგრევდა. და საერთოდ, მოიძებნებოდა კი ისეთი პარტია, თუ ჯგუფი, რომელიც არ აღფრთოვანდებოდა, თუკი შევარდნაძე მოქალაქეთა კავშირის ნაცვლად სწორედ მას აირჩევდა საყრდენ ძალად? - ასე, რომ მათი მიზანი არც ისე ძნელად გამოსაცნობია.

მმართველ პარტიასა და საპარლამენტო ოპოზიციას დღემდე ერთად მიჰყავდათ ქვეყანა დაღუპვისაკენ და გასარჩევი ახლაც ერთი აქვთ - ვინ იქნება პირველი, ან პირველთან უფრო დაახლოებული, ვინ რა სკამსა თუ ლუკმას ჩაიგდებს ხელში. უვარგისი თესლიდან გამორიცხულია ჯანსაღი ნაყოფის მიღება - ასევე მოჩვენებითია მოქკავშირის შიგნით ბოლო დროს ატეხილი ალიაქოთიც. მოქალაქეთა საპარლამენტო ნაწილს, თავიანთი „საპარლამენტო" ცოდვების გარდა, ქვეყნის უბედურებაში აღმასრულებელი ხელისუფლების თანაბარი წილი დანაშაული აქვთ ჩადენილი, რადგან თავიანთი პარტიული ძმების „ინიციატივებს" სწორედ, ისინი აძლევდნენ კანონის ძალას და დიდი რიხითაც ატარებდნენ თავიანთი პასუხისმგებლობის შესახებ მიღებულ დოკუმენტებზე. თუნდაც აქამდე მნიშვნელოვან ფიგურას მართლაც უპირებდნენ გათავისუფლებას. ეს იმის გამო, რომ მათვისაც კი ხელისშემშლელ და ოდიოზურ პიროვნებად გადაიქცა. ყოველივე ძალიან ჰგავს საკუთარი თავის გადარჩენაზე ზრუნვას.

რაც შეეხება პარლამენტს გარეთ დარჩენილ პარტიებს, მათი მნიშვნელოვანი ნაწილი დიდად არ განსხვავდება პარლამენტში მყოფთაგან, მათი მიზანი



მარაქაში გარევაა და სხვა არაფერი (ანუ, როგორც ცნობილი მოქკავშირელი პარლამენტარი ვანო მერაბიშვილი განმარტავს - ყველა პარტია, ვინც პარლამენტში მოვიდა - სმკ, ედპ, ლეიბორისტები - კორუფციის ჭაობში ჩაეფლო) და თუ კიდევ დარჩა ცალკე (?) პოლიტიკურ ორგანიზაციებზე პრეტენზიის მქონე ჯგუფი, მისი ორიენტაცია, რბილად რომ ვთქვათ, საკმაოდ ბუნდოვანია, რადგან ქვეყანაში მოღვაწეობს პოლიტიკურ პარტიათა და ორგანიზაციათა მრგვალი მაგიდა და უზენაესი საბჭო, მიუხედავად დევნისა, შევიწროებებისა, ცილისწამებებისა, ლაფის სროლისა, ისინი იბრძვიან. დღეს ქვეყნის გულშემატკივარი პიროვნება, ჯგუფი, ორგანიზაცია თუ პარტია მათ გვერდს ვერ აუვლის, რადგან სწორედ მრგვალი მაგიდაა ის ძალა, რომელიც იბრძვის იმისათვის, რომ ხალხს, ქვეყანას დაუბრუნოს წართმეული - ნამდვილი თავისუფლება და სახელმწიფოებრიობა. გვერდს ვერ აუვლით ქალბატონ მანანა არჩვაძე-გამსახურდიას, რომლის პირადი დამსახურებაა ხუნტის მიერ ჩვენი პრეზიდენტის, ბატონი ზვიად გამსახურდიას ფიზიკური განადგურების შემდეგ მინავლებული ეროვნული მოძრაობის გამოცოცხლება, „უცხო სხეულთაგან" მრგვალი მაგიდის გაწმენდა და მისთვის ბუნებრივი სახის დაბრუნება, დაქსაქსული დეპუტატების შემოკრება და უზენაესი საბჭოს მუშაობის განახლება, რასაც ფაქტიურად საქართველოში ორხელისუფლებიანობის დაფიქსირება მოჰყვა. სწორედ, ქალბატონმა მანანამ იტვირთა ეროვნული მოძრაობის ლიდერის უმძიმესი მისია. მკითხველს მოეხსენება, რომ იგი გარდა იმისა, რომ მრგვალი მაგიდის სპიკერია, უზენაესმა საბჭომ აღმასრულებელი ხელისუფლების ხელმძღვანელადაც - პრემიერ-მინისტრად დაამტკიცა. დღევანდელი საქართველოს პოლიტიკურ სპექტრში იმ ნაწილს, რომლის ლიდერია ქალბატონი მანანა არჩვაძე-გამსახურდია, აქვს ჯანსაღი და შეულახავი წარსული, არასდროს გაუკეთებია კერძო, თუ ჯგუფური ინტერესებიდან გამომდინარე სვლები, მისი ერთადერთი მიზანი ქვეყნის არნახული კრიზისიდან გამოყვანა, ნორმალური, თანამედროვე სამართლებრივი სახელმწიფოს აშენებაა. მრგვალმაგიდელთა პატრიოტიზმი, პრინციპულობა, მოუსყიდველობა დრომ გამოცადა. ამიტომაცაა, რომ შევარდნაძის ხელისუფლება, მასმედიათა თუ სხვა მრავალი საშუალებით ყოველთვის ცდილობდა და ცდილობს მათთვის ჩირქის მოცხებას, სახელის გატეხვას, რათა მოსახლეობაში მათდამი ნდობა და პოლიტიკური მხარდაჭერა დაიკარგოს. თუმცა, შედეგად მიიღო ის, რაც უნდა მიეღო - უცხო ძალის შეწეობით, სისხლით მოსული ხელისუფლებისა ფაქტიურად ალარავის სჯერა. შევარდნაძის რეჟიმის შეცვლის აუცილებლობა საზოგადოებაში ეჭვს არ იწვევს, ამასთან მკაფიოდ იკვეთება მრგვალი მაგიდისა და უზენაესი საბჭოს პოზიციის სრული შესაბამისობა იმ ამოცანების გადაწყვეტის შესაძლებლობასთან, რომლებიც ქვეყანას უმძიმესი კრიზისიდან გამოიყვანს და ფეხზე დააყენებს.

> ე.წ. საპარლამენტო პარტიები, მმართველი იქნება ის, თუ ვითომდა ოპოზიციური, ერთად იღებდნენ იმ კანონებსა და გადაწყვეტილებებს, რომლებმაც ქვეყანა კატასტროფამდე მიიყვანა...
> რაში გამოიხატებოდა საპარლამენტო ოპოზიციის ოპოზიციურობა? - არ მოსწონდათ მოქალაქეთა კავშირი. ამ ორგანიზაციის შემქმნელისა და მეთაურის, შევარდნაძის მიმართ კი პრეტენზია ბოლო დრომდის არცა ჰქონდათ, თითქოს, მოქალაქეთა კავშირი ქვეყანას შევარდნაძის გარეშე ანგრევდა. და საერთოდ, მოიძებნებოდა კი ისეთი პარტია, თუ ჯგუფი, რომელიც არ აღფრთოვანდებოდა, თუკი შევარდნაძე მოქალაქეთა კავშირის ნაცვლად სწორედ მას აირჩევდა საყრდენ ძალად? - ასე, რომ მათი მიზანი არც ისე ძნელად გამოსაცნობია.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო, მრგვალი მაგიდა, ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე მზად არის დიალოგისათვის ნებისმიერ არაკრიმინალურ პოლიტიკურ ორგანიზაციასთან, რათა საერთო ძალისხმევით გადავარჩინოთ შევარდნაძის რეჟიმის მიერ დაღუპვის პირამდე მიყვანილი მრავალტანჯული სამშობლო.

ამ დიდ საქმეს თანადგომა და მხარდაჭერა სჭირდება. მის აუცილებლობას დღეს საკუთარ სინდისთან მართალი, პოლიტიკასთან მეტ-ნაკლებად შეხებაში მყოფიც კი ხედავს, თუმცა ზოგიერთს საკუთარი წარსული უქმნის გარკვეულ დაბრკოლებას, რათა შესაბამისი, სწორი ნაბიჯები გადადგას. მათი მისამართით გავიმეორებ საყოველთაოდ ცნობილ ჭეშმარიტებას - ქვეყნის სასიკეთოდ საკეთებელი პირად ამბიციებზე მაღლა უნდა დადგეს, რადგან აუცილებლად გადაფარავს ძველ შეცდომებსა და ბოლოსდაბოლოს საკუთარ სინდისთან, საკუთარ შვილებთან დარჩებიან პირნათელნი.

### მცირე კომენტარები:

ა.წ. 3 სექტემბერს შალვა ნათელაშვილმა ტელეინტერვიუში ხაზი გაუსვა შევარდნაძის არჩევნებში მონაწილეობის აბსურდულობას - გაიხსენა და დაეთანხმა ამ საკითხში მრგვალი მაგიდის პოზიციას და დასძინა: ახლაღა ვხვდები, თურმე ქალბატონი მანანა მართალი ყოფილაო.

–

4 სექტემბერს „რუსთავი-2"-ზე მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა, რომ ვაკეში დეპუტატობის კანდიდატად თუ გადაწყვეტს კენჭისყრას, სმკ-ს სახელით არ დასახელდება. მან აქვე დასძინა - „ნაციონალური მოძრაობა" (მ.ს.) გადაარჩენს ქვეყანას და იგი უნდა შეიქმნას"-ო(?..)

ბატონი მიხეილი, ალბათ, მალე იმასაც დაინახავს, რომ ჩვენს დროში ველოსიპედის თავიდან გამოგონებას არა აქვს აზრი, ასევე ეროვნული მოძრაობა თავიდან „შექმნას" არ საჭიროებს.

–

გრიგოლ რობაქიძის ერთ ბრწყინვალე ნოველაში, რომელიც რუსი დამპყრობლების წინააღმდეგ შამილის მეთაურობით კავკასიელ მთიელთა ბრძოლის ეპიზოდს ეხება - მრავალწლიანი, დაუსრულებელი ომით გატანჯულ და გადაღლილ შამილის უახლოეს თანამებრძოლთ გამარჯვების რწმენა შერყვთ და რუსისგან შეპირებულ შემორიგებაზე ფიქრობენ, მაგრამ ამისათვის წინამძღოლის თანხმობაა საჭირო. ათას გაჭირვებაში და ბრძოლებში გამობრძმედილ ჯიგიტთაგან იმამს ვერვინ უბედავს სათქმელს და ისევ შამილის დედას აკისრებენ ამ საჩოთირო მისიას, ალბათ, იმიტომ, იქნებ ნაკლები რისხვა დაატყდესო.

მართლაც, უსაზღვრო იყო რისხვა შამილისა, მათრახიც კი შემართა, თუმცა ისევ ერთგულ ბედაურზე იყარა ჯავრი, მოახტა და გიჟურად გააჭენა. მარტო ვინ დატოვებდა იმამს და ჯიგიტებიც ჭენებით აედევნენ მაშინვე. მაგრამ შამილი ხრამისკენ მიაქანებდა თავაწყვეტილ ბედაურს. შეცბნენ ჯიგიტები - ხრამზე გადავლება შეუძლებელსა ჰგავდა, შამილი კი გულდაგულ მიაჭენებდა უფსკულისაკენ, მისი გულდაჯერება როგორღაც ყველას გადაედო და მოხდა სასწაული - შამილის კვალდაკვალ უკლებლივ ყველანი მშვიდობიანად გადაევლნენ თითქოსდა გადაულახავ დაბრკოლებას.

–უკვალოდ, კვამლივით გამქრალიყო წამებისწინა ურწმუნოება და გადაღლა...

შამილს ძველებურად გაუტეხელი, რწმენით აღსავსე თანამებრძოლნი ედგნენ მხარში.

**ჯემალ იონათამიშვილი**
საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი

---

ზურაბ გოგოხია

# რას ეტყვით თქვენს ერს და მომავალ თაობას?..

## „ქუჯის" ფოსტა

გარდამავალი პერიოდი ქვეყნისა და ერის ცხოვრებაში ყველაზე რთული და მძიმეა. ძველი ჩინელები ამბობდნენ: „ღმერთმა გაშოროს გარდამავალ პერიოდში ცხოვრებაო". იგი უფრო აუტანელია მაშინ, როცა ქვეყნის სათავეში ერისა და ქვეყნის მოღალატეები არიან. სამწუხაროდ, ასეთ მოვლენასთან გვაქვს დღეს საქმე საქართველოში. დღევანდელ ე.წ. ხელისუფლებას ძირითადად ის პიროვნებები შეადგენენ, რომლებიც სოციალიზმის დროსაც ხალხისა და ქვეყნის კისერზე ისხდნენ, დღეს უარესს სჩადიან, რადგან ახლა ხელს არ უშლით „კომუნიზმის მშენებლობის მორალური კოდექსი". ასეთებზე ბრძანებდა ბატონი კონსტანტინე: „ერთხელ ვინც შეძლებს უღალატოს რაიმეს წმიდათა წმიდად მიჩნეულს, მას იოლად შეუძლია იგი დღეში სამჯერ გაიმეოროს".

ქვეყანაში ისეთი სულისკვეთება ღვივდება, რომელიც სპობს ყოველივე ეროვნულს: მრავალათასიანი ტირაჟით გამოდის გამათახსირებელი და გარყვნილებით სავსე ჟურნალ-გაზეთები, ამითვე არის დაკავებული ინფორმაციის ყველა საშუალება. ყოველივე ამას კი გულუხვად აფინანსებენ ის ფონდები, მსოფლიო და ევრობანკების ფილიალები, რომლებიც ჩალის ფასად ყიდულობენ ჩვენს ქვეყანას. „ხელისუფლება" და მისი მომხრეები კი მათ ყაიდაზე არიან მოქცეულნი.

> სსრ კავშირის უშიშროებას ჰქონდა სპეციალური სამსახური, რომელიც ჭორებს ავრცელებდა. ეს ვაკუუმი წარმატებით შეავსო საქართველოს ტელევიზიამ, განსაკუთრებული აგრესიულობითა და წარმოუდგენელი სიყალბით გამოირჩევა პირველი არხი. აქ, ჩვენდა უნებლიეთ, გვახსენდება ჰებელსის ცნობილი პრინციპი: „ტყუილი უნდა იყოს ისეთი მასშტაბების და ისე უნდა ითქვას, რომ მსმენელმა იგი მიიღოს შემდეგი რწმენით: ასეთი ტყუილის თქმა არ შეიძლება, მაშასადამე მართალია"-ო.

იქ, სადაც პასპორტში ეროვნების აღნიშვნაზე უარს ამბობენ და თავის კულტურას პატივს არ სცემენ, გადაგვარება გარდაუვალია!..

მინდა, მოვიყვანო ცნობილი ჩეხი კომპოზიტორისა და საზოგადო მოღვაწის - იოსებ რატილის სიტყვები, რომელიც მე-20 საუკუნის დასაწყისში საქართველოში მოღვაწეობდა: „ის ერი ერობს, ის ხალხი ხალხობს, რომელსაც შეულახავად შეურჩენია თავისი ენა და კილო. კაცისათვის უძვირფასესი საუნჯე დედაენა, მშობლიური საგალობლები და ჰანგებია. საქართველოს ყველა კუთხეში ისეთი ხმებია, იმდენი საგალობელია, რომ მე სხვა ქვეყანას ვერ დავასახელებ, ამ მხრივ მას შეედაროს".

ქართულ ხალხურ მუსიკალურ ფოლკლორს, საგალობლებსა და სიმღერებს, სამწუხაროდ, ჩვენი ახალგაზრდობის უმეტესი ნაწილი დღეს პატივს არ სცემს, არა აქვს სურვილი მოუსმინოს და დატკბეს ამ გენიალური ხალხური ქმნილებებით. ეს ყველაფერი ერის სულიერ სიმდაბლეზე მეტყველებს.

დღევანდელ ფაქტობრივ ხელისუფლებას მინდა ერთი რამ შევახსენო: ქართველ ერს არ სჭირდება ჩასწვდეს ამერიკის სულს, პირიქით, ამერიკელები უნდა ჩასწვდნენ ქართულ სულს, ქართველი ერის უსაზღვრო სულიერ სამყაროს. ამერიკამ და სხვა მდიდარმა ქვეყნებმა, თუ ამის სურვილი აქვთ, გვასწავლონ, როგორ გავმართოთ ეკონომიკა...

ქალაქში გასულს საქართველოში არ მგონია თავი, სხვადასხვა ჯურის გადამთიელებმა გადაინაწილეს ჩვენი ქვეყნის მატერიალური სიმდიდრე და მიწა-წყალი. ყველაფერი გასხვისდა და განიავდა, გაივსო ქალაქი უცხოენოვანი რეკლამებით, აქა იქ თუ შეგხვდება მორცხვად, წვრილი შრიფტით მინაწერი ორი-სამი ქართული სიტყვა.

დღე და ღამესავით განსხვავდება ერთმანეთისაგან რეალური ცხოვრება და ტელევიზიის ინფორმაციები. როცა ტელევიზიით ისმენ

გვ. 5

# საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს განცხადება

მიმდინარე წლის 11 სექტემბერს ამერიკის შეერთებულ შტატებში განვითარებულმა საბედისწერო მოვლენებმა კიდევ ერთხელ დაგვანახა, თუ რაოდენ დიდ საშიშროებას წარმოადგენს ტერორიზმი, არა მხოლოდ ცალკეული ქვეყნის, არამედ მთელი კაცობრიობისათვის.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო თანაუგრძნობს დაღუპულთა ოჯახებს, ამერიკის შეერთებული შტატების ხელისუფლებას და მთელ ამერიკელ ხალხს. ჩვენ ვგმობთ ტერორიზმის ნებისმიერ გამოვლინებას და ვუერთდებით ყველა კეთილი ნების ადამიანს, მათ, ვინც თვლის, რომ ტერორიზმი, როგორც მოვლენა და როგორც პოლიტიკური მიზნების მიღწევის საშუალება, დაგმობილ უნდა იქნას, ხოლო დამკვეთები და აღმსრულებლები კი სათანადოდ დასჯილნი.

ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ მსოფლიო საზოგადოება და სხვადასხვა ქვეყნების მთავრობები ყოველთვის ერთნაირი კრიტერიუმებით არ უდგებიან ტერორიზმსა და ძალადობის სხვა გამოვლინებებს. ყოველთვის ადექვატურ შეფასებებს არ აძლევენ და სათანადოდ არ რეაგირებენ მათზე. კაცობრიობისათვის საფრთხეს წარმოადგენს არა მხოლოდ საერთაშორისო ტერორიზმი, არამედ ტერორიზმისა და ძალადობის ის ფორმებიც, რომლებიც თავისი მასშტაბით, შესაძლოა, არ სცილდებოდნენ ერთი ქვეყნის ფარგლებს, მაგრამ უზარმაზარ ზიანს აყენებენ მათ სოციალურ და პოლიტიკურ ცხოვრებას, ხელს უშლიან ზოგადსაკაცობრიო ფასეულობების დამკვიდრებას და მათ დემოკრატიულ განვითარებას. სამწუხაროდ, საერთაშორისო საზოგადოება ხშირად უგულებელყოფს ტერორისა და ძალადობის ასეთ „ლოკალურ" გამოვლინებებს. საბოლოო ჯამში, სწორედ ერთი ქვეყნის შიგნით ტერორისა და ძალადობის ფაქტების უგულებელყოფის ასეთმა პრეცედენტებმა წარმოშვა საერთაშორისო ტერორიზმი.

საქართველოს უკანასკნელი 10 წლის ისტორიაში მრავლად იყო ტერორისა და ძალადობის ისეთი ფაქტები, როგორც ცალკეული პირების, ასევე მთლიანად დღევანდელი ფაქტობრივი ხელისუფლების მხრიდან, რომლებმაც სამწუხაროდ, სათანადო შეფასება ვერ ჰპოვეს დემოკრატიული ქვეყნების მთავრობების მხრიდან „თვალების დახუჭვის" პოლიტიკის გამო, ასეთი შემთხვევების რიცხვი განუხრელად იზრდება, რასაც ნათლად ადასტურებენ ადამიანის უფლებების დამცავი სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციები.

1992 წლის იანვარში, რუსეთის იმპერიისა და ადგილობრივი კრიმინალების მიერ საქართველოს კანონიერი ხელისუფლების დამხობითა და 1993 წლის დეკემბერში, საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას მკვლელობიდან დაწყებული დღემდე საქართველოში დადასტურებულია პოლიტიკური ტერორის, ძალადობისა და ადამიანის უფლებების დარღვევების სხვადასხვა გამოვლინებების უამრავი შემთხვევა, ცრუ არჩევნებით ხელისუფლების მიტაცება.ფაქტობრივი ხელისუფლების და მათი ცალკეული წარმომადგენლების მხრიდან ხორციელდება ისეთი ქმედებები, რომლებიც ვერანაირად ვერ ჯდება დემოკრატიული ქვეყნისათვის დამახასიათებელი საზოგადოებრივი და პოლიტიკური ურთიერთობების ფარგლებში. ქვეყანაში ჩვეულებრივ მოვლენებად იქცა უკანონო პატიმრობები, პატიმრებზე ფიზიკური და ფსიქოლოგიური ზეწოლა, მათი წამება და ფიზიკური განადგურება. ჩვეულებრივი მოვლენაა სხვადასხვა ფორმით ადამიანის უფლებების ყოველდღიური დარღვევები, მოსახლეობის ფსიქოლოგიური დატერორება, გატაცებები, მძევლად აყვანა და ასე შემდეგ.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო იმედს გამოთქვამს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების და ყველა იმ ქვეყნების მთავრობები, რომლებმაც დაგმეს 11 სექტემბრის ტრაგედია და მზად არიან პასუხი აგებინონ დამნაშავეებს, ასეთივე გაგებით მოეკიდებიან საქართველოში არსებულ მსგავს პრობლემებს, შესაბამის შეფასებებს მისცემენ მათ და სათანადო წვლილს შეიტანენ საქართველოში კანონიერი ხელისუფლების სამართალმემკვიდრეობის აღდგენის საქმეში.

**საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო**

# საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება

## საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობისაგან დავით გურამის ძე გოგაძის განთავისუფლების შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:

განთავისუფლებულ იქნას დავით გურამის ძე გოგაძე საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობისაგან.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ვიქტორ ფხალაძე

თბილისი
2001 წლის 22 სექტემბერი

თორნიკე ეფრემიძე

# დიდოსტატი კონსტანტინეს ჯადოსნური სიტყვის ძალა

დიდი კონსტანტინეს შემოქმედებას ჯერ კიდევ ბავშვი ვეზიარე. რუსეთ-გერმანიის 1941-1945 წწ ომში უგზოუკვლოდ დაკარგულმა ბიძაჩემმა ერთადერთი, რაც ამ ქვეყნად დამიტოვა, იყო პოლიტიკური და საკმაოდ კარგი მხატვრული წიგნების ბიბლიოთეკა. რუსეთის ტრამალებში უშვილძიროდ გადაგებული ბიძის ბიბლიოთეკა ბაბუაჩემის მემკვიდრეებმა თავისებურად გადაინაწილეს და როცა, ომის შემდეგ, მამიდაჩემის წიგნებში გაბრიელ ეფრემიძის ნაქონ კონსტანტინე გამსახურდიას 1936 წელს გამოცემულ წიგნს „თვალთაჲ"-ს წავაწყდი, ჯერ სკოლიდან უცნობმა ასო „ჲ"-მ მიიქცია ჩემი ყურადღება; შემდეგ კი, როცა რამდენიმე ნოველა წავიკითხე, ქრესტომათიულ თხზულებებზე გაზრდილ ბავშვს, კონსტანტინე გამსახურდიას ენა „ტერრა ინკოგნიტოდ" მომეჩვენა. ვერ ვიტყვი, რომ წიგნში შესულ უთვალსაჩინოესი რომანის - „დიდოსტატის მარჯვენა"-ს ხიბლი ბავშვობიდან მომყვებოდა. სკოლაში საკმაოდ კონსერვატიულად გვასწავლიდნენ ლიტერატურას, ამიტომ კონსტანტინე გამსახურდიას თემატიკისა და ენობრივი პოზიციის შესახებ 50-იან წლებში სოციალისტური რეალიზმის წნეხში გამოწურული სუროგატული კრიტიკული აზროვნება ბატონობდა მასწავლებელ-მოსწავლეებში. შემდეგ ის იყო, რომ სკოლის სამასწავლებლოში მომცრო კარადაში მოთავსებულ წიგნებსა და ჟურნალ „მნათობს" შევეჩვიე. რამდენად სასიამოვნო იყო ის მიგნება, რომ ამ ჟურნალში ისტორიული რომანის „დავით აღმაშენებლი" მეორე წიგნის ნაწყვეტებს მივაკვლიე. აქედან იწყება ჩემი უწყვეტი ინტერესი კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედებისადმი. ამას დაერთო სკოლის ისტორიის მასწავლებლის საინტერესო საუბრები. 1948 წელს გამოცემული დიდი ივანე ჯავახიშვილის, სიმონ ჯანაშიას და ნიკო ბერძენიშვილის „საქართველოს ისტორიიდან" გავიგე, ვინ იყო დავით აღმაშენებელი, თუმცა მაშინ ბაგრატიონები და მათი დინასტია ოფიციალური ხელისუფლების მიერ განიხილებოდა, როგორც „უბედურებისა და მონობის" მომტანი საქართველოს „მშრომელი ხალხისათვის".

შემდეგ, როცა ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე სწავლა დავიწყე ქუთაისში კონსტანტინე გამსახურდიას თითქმის ყველა გამოქვეყნებული ნოველა, ესსე და რომანი მრავალჯერ გადავიკითხე. მე მხიბლავდა არა მარტო დიდი რომანისტის მსუყე და ღონიერი ქარ-



თული, არამედ მისი უკომპრომისო ბრძოლა ამ პოზიციის დამკვიდრებისათვის. ბატონი კონსტანტინეს ბრძოლა მისი შემოქმედების, ენობრივი პოზიციებისა და, რაც მთავარია, პოლიტიკური კრედოს დასაცავად, რაც ამჟამად კოლხური კოშკის იდეოლოგიის სახელითაა ცნობილი, მე მესახებოდა შეუპოვარი, უძლეველი და იმავე დროს ფიზიკურად ბუმბერაზი რაინდის შერკინებად მისი მედროვე იდეოლოგიური ჯაჭვით დაბმული კალმოსან მყეფარების წინააღმდეგ, რომლებიც დიდი მამულიშვილისა და მწერლისადმი ათასგვარი „დანაშაულისა" და „შეცდომების" შეთხზვა-გავრცელებაში აქტიურ მონაწილეობას ღებულობდნენ კომუნისტური მთავრობის დავალებით. ამიტომ, დიდი კონსტანტინეს ღირსეული შვილის მიმართ შემდგომ გამართული ზნეობრივი და პოლიტიკური ვაკხანალია მე მიმაჩნდა პერმანენტული, ცილისმწამებლური კომპანიის გაგრძელებად გამსახურდიათა შთამომავლობის მიმართ.

1954 წლის ზაფხულზე „დავით აღმაშენებლის" მეორე წიგნი გამოქვეყნდა. იგი მანამდე ჟურნალებში მქონდა წაკითხული, მაგრამ როცა წიგნი ქუთაისის საჯარო ბიბლიოთეკის წიგნსაცავში აღმოვაჩინე, სულმა წამძლია და მიუხედავად მათემატიკურ ანალიზში გამოცდისათვის მზადების ციებცხელებისა, სულმოუთქმელად გადავიკითხე. ცხადია, გამოცდისათვის სათანადოდ ვერ მოვემზადე და თუ არა ჩემი დეკანის დოცენტ ვლადიმერ (კაკო) სულავას თანადგომა, მარცხი გარდაუვალი იყო. ამის შემდეგ, კიდევ უფრო განმტკიცდა დიდოსტატი კონსტანტინეს შემოქმედებისადმი ინტერესი და მეცოდებოდნენ ის, ვითომ „განათლებული" მკითხველები, რომლებიც დიდი მწერლის ესთეტიკური სამყაროს, მისი ეროვნული მრწამსისა და ენობრივი პოზიციების წვდომის მიმართ აბსოლუტურ გაუგებრობას იჩენდნენ. 1956 წელს ბატონი კონსტანტინე ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტს ეწვია. იმ წელს საქართველოს 9 მარტის ტრაგედიამ გადაუარა. ქუთაისში ამ მოვლენებმა უსისხლოდ ჩაიარა, მაგრამ უკმაყოფილებისა და პროტესტის ორმაგი გრძნობა დატოვა ამ ტრაგედიის მომსწრე-მონაწილეთა შორის. 1956 წლის 9 მარტის ტრაგედია და ქართველი ხალხის დასჯა მასიური დემონსტრაციებისათვის მხოლოდ სტალინის სიყვარულისათვის არ განუხორციელებიათ ხრუშჩოვსა და ძმათა მისთა მარიონეტ მჟავანაძის თანხმობით, არამედ ეროვნული თავისუფლების მოპოვებისათვის მზადყოფნის სულისკვეთების ჩასახშობად. იმ წელს პირველად დააპატიმრეს დიდი მწერლის 17 წლის მეამბოხე შვილი ზვიადი და მისი მეგობარი მერაბი, რომლებიც შემდეგ საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მებაირახტრენი გახდნენ. იმ დროს, დიქტატორულ-ბიუროკრატიული სახელმწიფოს პირობებში, როდესაც ყოველგვარი თავისუფალი აზრის გამოვლინებას ჩვენი ინსტიტუტის წინ განლაგებული სუკის ჯურღმულებში მრავალი ჩემი თანაკურსელის გადანაცვლება მოჰყვებოდა ხოლმე - დიდი მწერლის სტუმრობამ ერთგვარი შიშისა და გაურკვეველი მოლოდინის კლიმატი შექმნა. მანამდე ბატონი კონსტანტინეს არც ხმა, არც ეკრანული გამოსახულება (მაშინ ტელევიზორი და რადიო იშვიათობა იყო) არ მენახა. როცა ინსტიტუტის სააქტო დარბაზში ორატორების თავშეუკავებელი და მშრალი გამოსვლების შემდეგ უბრალო მოკვდავი კაცი დავინახე ტრიბუნასთან, გაკვირვებული დავრჩი, ნუთუ ეს ნამდვილად დიდი კონსტანტინეა-მეთქი. გაოცება კიდევ უფრო გამძლიერდა, როცა ნაცვლად მაღალფარდოვანი, აკადემიური სტილისა და მჭევრმეტყველებისა, მან სტუდენტებს უბრალო, გასაგებ ენაზე ურჩია, რომ საფუძვლიანად დაუფლებოდნენ საქართველოს ისტორიასა და ქართულ ენას. გულუბრყვილოდ ერთ წამს გავიფიქრე - ასეთი უბრალო რამის თქმისათვის დიდი მწერალი როგორ ირჯება-მეთქი. შემდეგ კარგად მივხვდი, რომ სწორედ ენა და მამული (სარწმუნოებისათვის მაშინ ხომ საჯაროდ ხმას ვერ ამოიღებდა ვერც დიდი კონსტანტინე!) იყო ის ძირითადი ცნებანი ქართული ყოფიერებისა და სულიერებისა, რომელსაც მთელი თავისი წამებული ოჯახის სიცოცხლე უძღვნა ქართველი ხალხის დიდმა შვილმა.

შემდეგ გააქტიურდა მოსყიდულ კრიტიკოსთა და ენთუზიასტ მჯღაბნელთა თავდასხმები ბატონ კონსტანტინეზე, როგორც „უღირსი შვილის" მამაზე. ისინი მკითხველებს არწმუნებდნენ, ვითომ ბატონი კონსტანტინე გულწრფელად გმობდა შვილის საქციელს და თავზე ნაცარს იყრიდა „ძე შეცდომილის" მოქმედების გამო. აქედან დაწყებული 10 წლის მანძილზე ბატონი კონსტანტინეს უდიერ, უხამს და დაკვეთით შეთითხნილ ცილისმწამებლურ კომპანიას ხელისუფლება და მისი იდეოლოგები შეეშვნენ, თუ მხედველობაში არ მივიღებთ პოეტისა და დრამატურგის სანდრო შანშიაშვილის პასკვილს, რომელიც ქართული სიტყვის ცოცხალ კლასიკოსებს - გალაკტიონ ტაბიძეს და კონსტანტინე გამსახურდიას ადგილს ეცილებოდა მთაწმინდაზე. თვით ბატონი კონსტანტინე ირონიულად აღნიშნავდა, რომ ვასილ მჟავანაძისა

> გააქტიურდა მოსყიდულ კრიტიკოსთა და ენთუზიასტ მჯღაბნელთა თავდასხმები ბატონ კონსტანტინეზე, როგორც „უღირსი შვილის" მამაზე. ისინი მკითხველებს არწმუნებდნენ, ვითომ ბატონი კონსტანტინე გულწრფელად გმობდა შვილის საქციელს.

გვ. 4

დღევანდელობა

# რეპორტაჟი ქუთაისის ქუჩებიდან

ლუიზა ხაჭაპურიძე

პუტჩის შედეგად დანგრეული საქართველოს სოციალურად დაუცველი და ეკონომიურად დაბეჩავებული მოსახლეობა იძულებული გახდა, დაეწყებინა საკუთარი პროფესია და არსებობის შესანარჩუნებლად სხვადასხვა საქმიანობისათვის მოეკიდა ხელი. ზოგმა სამშობლოში გამოძებნა ვაისამსახური,



ზოგმა კი უცხოეთს მიაშურა.

საქართველოს ბაზრები სავსეა უმუშევარი ინჟინრებით, მასწავლებლებით, მსახიობებით... მოვუსმინოთ მათ:

**ხათუნა ღვინიანიძე**, 55 წლის, ინჟინერი, ამჟამად ყიდის მწვანილს:

დღეში 2-3 ლარს ვშოულობ. ძლივს გაგვაქვს თავი, მეუღლე უმუშევარია. შევარდნაძე ეტყობა, ფიქრობს, რომ ჭამა დავივიწყეთ, მხოლოდ მისიანები ჭამენ. მეჭამეს საქართველო, სულით ხორცამდე გაგვძარცვეს. ეს კორუფციის მამა ვითომ კორუფციას ებრძვის. შეიძლება, სიცრუის მამა სიცრუეს ებრძოდეს?!

**მარინე აბესაძე**, 43 წლის, მასწავლებელი, სურსათს ყიდულობს და კარდაკარ ყიდის:

ეს წამებაა და არა ცხოვრება. ამ მთავრობამ ტყვეთა ბანაკი შექმნა, სადაც ელემენტარული არსებობის პირობებიც კი არ გაგვაჩნია და სიცოცხლის შესანარჩუნებლად კარდაკარ დავდივართ.

**ნათელა ბაძალუა**, 70 წლის, პენსიონერი, ყოფილი მასწავლებელი, ყიდის პურს:

მე სახლში შვილიშვილებს უნდა ვზრდიდე, მაგრამ შვილს ხელფასს არ აძლევენ, მე - პენსიას; ბავშვებს რა უნდა ვაჭამოთ, სად წავიდეთ? მეშინია, შვილს დარდით რამე არ დაემართოს, ვცდილობ, წვალებით როგორმე დავეხმარო, ბავშვებს პური მაინც მივუტანო.

**ნუნუ ქობულაძე**, 70 წლის, ინჟინერი, პენსიონერი, ყიდის ლეზელს:

საშინელ ყოფაში ვართ, არასოდეს მიფიქრია, თუ ასეთ დღეში ჩავვარდებოდი, მაგრამ განა ბავშვების გამოსაკვებად ჩემი ამგვარი საქმიანობა სირცხვილია? ე.წ. ხელისუფლებამ, მართალია, პატივი აგვყარა, მაგრამ მათსავით უსირცხვილოდ არასოდეს მოვიქცევით. ჩვენ, ალბათ, მათზე უკეთესის ღირსი არა ვართ. ვფიქრობდი, შევარდნაძე საქვეყნოდ აღიარებული პოლიტიკოსია და გვეშველებამეთქი. იგი კი შეუბრალებლივ ანგრევს საქართველოს. ახლა მრცხვენია, ვისი მჯეროდა. ყოველივე ამას ჩვენი ადგილობრივი დავა-კამათიც ემატება. პოლიცია გვდევნის - აქ არ დადგეთ, იქით წადითო. გავრბივართ ცხენებივით, იქიდან პოლიციის სხვა ნაწილი აქეთ გამოგვდევნის, თუ რომელიმეს არ გადაუხადე, ვერსად დადგები. გადასახადი და ზოგჯერ პურის ფულიც აღარ გრჩება...

**ნოდარ კიკოლიაშვილი**, 50 წლის, მათემატიკოსი, საკუთარი მანქანა ჰყავს გატაქსებული:

წვალებით ვირჩენთ თავს... დაცული არავინაა და თავისთავად - არც ჩვენ. ე.წ. ხელისუფლებას სურს კვლავ თავს მოგვახვიოს შევარდნაძის „დიდი პიროვნება", მაგრამ ბრმა არავინაა, ყველა ყველაფერს ხედავს. გმირად რაცხენ, ჩვენთვის კი არაფერია. გაიძახის: ვიცი, ბევრს არ უყვარვარ, მაგრამ როცა ნდობაზე მიდგება საქმე, მე მენდობიან და მირჩევენო. არჩევნებზე წასული არავინ მინახავს, მით უმეტეს ამ ბოლო წლებში, თავად მის მიერ მოწვეული უცხოელი დამკვირვებლებიც კი აღნიშნავდნენ, არჩევნები ფალსიფიცირებული რომ იყო. ერთ რამეს გეტყვით: 1993 წელს, როცა შევარდნაძე საქართველოში „ჩამობრძანდა", მოხუცმა მამაჩემმა მითხრა: რუსეთში გაზრდილი მელა საქართველოში თავის საქმეებს ვერ დატოვებს, ჩვენთან სველი თოვლი იცისო (მელია ხომ ნაკვალევს კუდით ფარავს... რუსეთში თოვლი ფაფუკი და მშრალია, ჩვენთან კი სველი და მძიმე, კვალი ადვილად არ იშლება)...

**ავთანდილ საძირაძე**, 35 წლის, მუსიკოსი, მუშაობს ტვირთის მზიდავად:

ჩემი პროფესიის გამო საზღვარგარეთ წასვლა შემეძლო, წავიდნენ ჩემი



მეგობრები, მირეკავენ, ჩამოდი, მანდ რას იკლავ თავსო... შეიძლება არ დამიჯეროთ, მაგრამ არ შემიძლია საქართველოს გარეშე, არც პატარა შვილის მიტოვება შემიძლია, ჩემთვის ერთნაირად ძვირფასია ორივე. პირველად ძალიან გამიჭირდა, მაგრამ... ღვთის იმედი მაქვს, რომელიც ბრძანებს: ნეტარ იყვნენ, რომელთაც შიოდეს და სწყუროდეს სიმართლისათვის, რამეთუ იგინი განძღნენ...

# „შადიმანიზმი" XXI საუკუნის მიჯნაზე

(დასაწყისი წინა ნომერში)

ბატონო თენგიზ სიგუა, იმ კუთხის შვილი მაინც არ იყოთ, რომელსაც თქვენ ზურგი აქციეთ და მის მრავალგზის აოხრებაზე ერთხელაც პროტესტი არ განაცხადეთ, მაგრამ იქ ხომ „ზვიადისტები" იყვნენ და მათი ბოლომდე ჩაქოლვა იყო საჭირო, თანაც უდიდესი ცინიზმით. გაიხსენეთ გორა ჯაჭის მკვლელობა, ჩადენილი ვინმე გარუბა გიორგაძის მიერ, - ეს მე-18 მუხლია: იმავე დღეს ზუგდიდის ერთ-ერთ რესტორანში დაქეზებული სიმღერა... „ყველა ჩემი სამშობლოა სამეგრელოს გარდა"-ო. როგორ გინდათ, თქვენსნაირების მიერ ხელდასმული ასეთი ქართველებით გაერთიანოთ საქართველო?!

> არ ვიცი ჩემმა და ჩემისთანების მომავალმა რატომ უნდა ზიდოს თქვენი საქმეების შედეგები. მართალია, ქუჯის დიდებულმა მოქმედებამ 23 საუკუნე იცოცხლა, მაგრამ არანაკლებად ცოცხლობს შადიმანისნაირების ნამოქმედარი.
> ზვიად გამსახურდიას თქვენივე ხელდასმულმა ქართველმა გარეწრებმა სიცოცხლე მოუსწრაფეს. როგორ დადიხართ ქართულ მიწაზე, ფეხის ტერფები არ გეწვით?

დიახ, თქვენგან ხელდასმული ადამიანები ასეთი ფილოსოფიით ანგრევდნენ საქართველოს ერთიანობას. თქვენ ხელი შეუშალეთ გამთლიანებული საქართველოს განმტკიცებას, მაგრამ არანაკლებად დაუშავეთ თქვენსავე კუთხეს, რომლის მომავალმა შვილებმაც უნდა ზიდონ ის დიდი სირცხვილი, რომელიც თქვენ მოუტანეთ მათ.

ბატონო თენგიზ, საერთოდ, თუ გენიშნებათ საქართველოს გაერთიანებისათვის მებრძოლი დასავლეთ საქართველოს მთავრის, ქუჯის სიტყვები ფარნავაზისადმი? - „შენ იყავი გაერთიანებული საქართველოს მეფე"-ო (შინაარსი ასეთია, ციტატა ყველამ ვიცით). მეფეს, ასე არ იქნება - თქვენ ხომ ამბიციური პიროვნება ბრძანდებით და „ჩემზე წინ ვინ იქნებაო"-ს ლოზუნგით მოლაშქრობდით. ამბიციებს საკუთარი სამშობლო ზედ გადააყოლეთ. ისტორია ასეთს მივიწყებთ, როგორიცა ხართ, რა თქმა უნდა, თქვენთვის ძნელ საქმეა. მთავარია, ისტორიაში მოხვდეთ და რა მნიშვნელობა აქვს, ავად თუ კარგად. განა შადიმანები არ არიან მოხვედრილნი ისტორიაში, მათ ქართველობა დღემდე წყევლა-კრულვას უგზავნის.

არ ვიცი ჩემმა და ჩემისთანების მომავალმა რატომ უნდა ზიდოს თქვენი საქმეების შედეგები. მართალია, ქუჯის დიდებულმა მოქმედებამ 23 საუკუნე იცოცხლა, მაგრამ არანაკლებად ცოცხლობს შადიმანისნაირების ნამოქმედარი. თქვენი მოქმედება ტკუპისცალივით წავავს ილიას მკვლელობის ორგანიზატორების თათბირის მონაწილეების მოქმედებას, რომელთაგან ერთს თურმე შეეძლო ამ პროცესის შეჩერება, მაგრამ არ შეაჩერა ვიწრო პარტიული ამბიციურობის გამო. იმას კი ვერ მიხვდა, რომ ილიას მოკვლით საქართველოს კლავდნენ.

თქვენ იგივე ფორმით საქართველო მოკალით. საქართველოს პირველ პრეზიდენტს ბატონ ზვიად გამსახურდიას თქვენივე ხელდასმულმა ქართველმა გარეწრებმა სიცოცხლე მოუსწრაფეს. როგორ დადიხართ ქართულ მიწაზე, ფეხის ტერფები არ გეწვით?

თქვენ, როგორც მეცნიერს (თუ ხართ ასეთი) არ უნდა „მეგეშლოდათ", რაც „მეგეშალათ", მაგრამ ვაი, რომ ამბიციური პიროვნება, რა დიდი მეცნიერიც არ უნდა იყოს, ბრმად ადასებს ცხოვრებისეულ მოვლენებს. რას ვიზამთ, მოვცილდეს თქვენი ნამოქმედარის ზურგით ტარება, გავექცევით კი? ჩვენს მტრებს ერთი სული აქვთ, როდის ჩამოშორდება საქართველოს ერთიან სხეულს ესა თუ ის კუთხე - ა.კ. მაგალითები სახეზეა.

იცით, ბატონო თენგიზ, რისი იმედი მაქვს? საქართველო გაერთიანდება, ეს კი მოხდება თქვენი და თქვენი კომპანიონების ნამოქმედარის ობიექტურად შეფასების შემდეგ. ამ საქმეს კი სჭირდება არა თქვენისთანა ამბიციური ნიკო ლომოური, თამაზ კვაჭანტირაძე, მანანა გოგიბერიშვილი და სხვა შადიმან-მარიონეტები, არამედ ღვთისნიერი ადამიანები, ისეთები, რომლებიც ახლოს დგანან ილიას სულთან.

თქვენნაირების ნამოქმედარი შეფასდება! მართალია, ამას დრო სჭირდება, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ ეს მოხდება - რა მნიშვნელობა აქვს, როდის. მე ვიცი საკუთარი ცხვირის წვერამდე ხედვის მქონე ადამიანთა ფილოსოფია - „ჩვენს შემდეგ ქვა ქვაზე დაღუპებულაო" - მაგრამ საქართველოს მომავლისათვის თქვენი და თქვენნაირების ნამოქმედარის შეფასებას უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობა ექნება.

თუ ეს არ მოხდა, საქართველო გადაიქცევა ისეთ ქვეყნად, რომლის მო-



სახლეობის 5-10% განცხრომაში იქნება, დანარჩენი 90-95% კი - ღატაკი და მათხოვარი. აიტანს ამას ჩვენი ქვეყანა? ენახოთ...

საქართველო პაპუასების ქვეყანა არ არის.

*გ. მარტყოფლელი*

# დიდოსტატი კონსტანტინეს ჯადოსნური სიტყვის ძალა

ბვ. 3

და ედუარდ შევარდნაძის ხელშეწყობით მის მიმართ კომუნისტური მთავრობის პოზიცია „არსებითად შეიცვალა". ვინ რა იცის, თუ რა შეფარული აზრი ლვივოდა ამ გამონათქვამში ისე, როგორც ბატონი კონსტანტინეს „ბრძოლის" პათოსში სტალინური პრემიის დაუფლებისათვის, რაც ეგზომ „ოსტატურად" გამოიყენა ყველა კომუნისტური მთავრობის მტერ-მოყვარე მწერალმა რევაზ ჯაფარიძემ, რომელსაც რატომღაც ეგონა, რომ დიდი კონსტანტინეს „ოჯახზე ზრუნვა" და „საქმის დაგვირგვინება" მხოლოდ მას განესაზღვრა მამაზეციერმა.

> ახლა იოლია თავის მართლება იმ მწერალთა მხრიდან იმის შესახებ, ვითომ კონსტანტინეს დიდი სახელის უკვდავების გადარჩენისთვის „სთხოვდნენ" ბატონ ზვიადს, განცხადება დაეწერა მწერალთა კავშირიდან წასვლაზე.

ცხადია, ბატონი კონსტანტინეს მიერ აგებული კოლხური კოშკის სული მოსვენებას არ აძლევდა იმხანად სუკ-ის აგენტ მწერლებს. მეორეს მხრივ, კი ძმადშეფიცულთ, რომელთა შესახებ სულკურთხეული მერაბი წერს:

„...შლეგებს მოვგავდით მოყმენი ცხრანი
ვეფხვთან სარკენად ველად გაჭრილებს..."

და როცა „კურდღლური შიშით" დაზაფრულნი დისიდენტების - ზვიადისა და მერაბის არალეგალურ გამოცემებს ხელის კანკალით ვეხებოდით და უბეში გადამალული მიგვქონდა სახლში ლიმიტირებული დროით, რათა ცხრაკლიტულში სულმოუთქმელად გადაგვეკითხა ისინი, მათ შემდეგ „გადემოკრატებულ-გაეროვნებული" კომუნისტების კორუმპირებულ კლანებს მიკედლებული „ეროვნული მოძრაობის ლიდერები" გულზე ხელის ბაგუნით გაიძახიან, რომ ეროვნული მოძრაობა საქართველოში ჩვენგან დაიწყო.

ან რა საჭიროა ამის მტკიცება, ხალხმა ხომ კარგად გაიგო ვინ ვინ არის. ქართველი ერის მოაზროვნე, მოუსყიდველმა და ეროვნული სულისკვეთების მქონე ნაწილმა, რომლისთვისაც უცხოა უპრინციპო ჟურნალისტთა და ელიტარული წითელი ინტელიგენციის ნაჯიჯ-უკუჯიქობანი, კარგად იციან, თუ რა ტრაგედია გადაიტანა დიდი კონსტანტინეს ოჯახმა და თავად ამ ტრაგედიას შეეწირა იმ საბედისწერო 1975 წელს, როცა ვითომ მისმა კოლეგებმა მწერალთა კავშირში „სასიკვდილო განაჩენი" გამოუტანეს დიდი კონსტანტინესგან დამოძღვრილ ეროვნული მრწამსის მებაირახტრე მერაბსა და ზვიადს. ამით კიდევაც შეუწყვეს ხელი ამ ქვეყნიდან მათ წასვლას. ახლა იოლია თავის მართლება იმ მწერალთა მხრიდან იმის შესახებ, ვითომ კონსტანტინეს დიდი სახელის უკვდავების გადარჩენისთვის „სთხოვდნენ" ბატონ ზვიადს, განცხადება დაეწერა მწერალთა კავშირიდან წასვლაზეთ და როცა ეს არ გამოუვიდათ, იმ შავი საქმის მონაწილენი, გაბოროტებულნი და დაბოღმილნი გაიძახიან, რომ ნამდვილი ეროვნული დამოუკიდებლობის იდეა მწერალთა კავშირიდან მოდისო.

ღმერთმა ნუ მოასწროს საქართველოს ორგულთ და დამქცეველთ ქართველი ერის „გაღმა გასვლას". საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის დევნილი სული ცოცხალია, რადგანაც იგი საზრდოობს კონსტანტინე დიდოსტატის, მისი მემკვიდრეების ზვიადისა და მერაბის შემოქმედებით და პატიოსანი ქართველი ხალხის მხარდაჭერით. როგორი გაალმასებითაც არ უნდა ცდილობდნენ ახალი მასონური პარტოკრატები და კორუმპირებული ნეობოლშევიკები, რომელთა „ძლიერების" წყარო იყო და დარჩა იარაღით ხელისუფლების დაპყრობა, ისინი განწირულნი არიან დასაღუპად.

(დასაწყისი წინა ნომერში)

აკაკი მათიაშვილი

# ბატონი ზვიად გამსახურდიას გვარის გენეალოგიის შესახებ

პირადად ჩემთვის პავლე ტფილელის (გამსახურდიას), მისი ძმის მამუკასა და ძმისწულის გიორგი გამსახურდიების წინაპრების დამსახურება მეფისა და მამულის წინაშე ცხადზე ცხადია. ამით აიხსნება მათი დიდი დაფასება ქართლში, კახეთში და ოდიშში. ისტორიული საბუთებიდან ირკვევა აგრეთვე გამსახურდიების განსაცვიფრებელი ერთგულება მამა-პაპათა ღვთაებრივი სარწმუნოებისადმი - მართლმადიდებლობისადმი. ამაზე მიუთითებს თუნდაც პავლე ტფილელის (გამსახურდიას) როგორც მღვდელმთავარის მოღვაწეობა და XVII საუკუნეში კახეთში დამკვიდრებული დემეტრე გამსახურდიას (ქართლ-კახეთში გამსახურდაშვილად წოდებულის) მაგალითი.

ახლა უფრო ვრცლად შევეხოთ ოდიშელ გამსახურდიათა იმ შტოს, რომელიც ისტორიული ქარტეხილების გამო კახეთში დამკვიდრდა. საქართველოს მთავარ საისტორიო არქივში სათანადო მასალებზე მუშაობისას მივაკვლიე ერთ უძვირფასეს ისტორიულ საბუთს, რომელიც უდიდესი მნიშვნელობის გამო მომყავს მთლიანად. საბუთის სახელწოდება ასეთია: „მამულისა და სითარხნის წყალობის წიგნი ნიკოლოზ ალავერდელისა დემეტრე გამსახურდაშვილს (გამსახურდიას)". მასში ნათქვამია:

„ნებითა და შეწევნითა ღვთისათა, მეოხებითა ყოვლად უხრწნელისა და მარადის ქალწულისა მარიამისათა, ძლიერებითა პატიოსნისა და ცხოველმყოფელის ჯვარისათა, თავლებობითა და შუამდგომლობითა წმიდათა ზეცისა ძალთა ანგელოზთა და მთავარანგელოზთა, თავდებობითა და შუამდგომლობითა ღვანლისა მძლისა შვიდწილ უძლეველის ახოვნისა და კიდით კიდემდე სასწაულთმოქმედისა მთავარმოწამისა წმიდისა გიორგისითა და ყოველთა წმინდანთა დასითა ზეცისა და ქუეყნისაითა, ხორციელთა და უხორცოთა, ამათთა მოწმობითა და შუამდგომლობითა ჩუენ ქრისტეს ღსა მიერ კურთხეულმან ამბა ალავერდელმან ანდრონიკაშვილმა ნკზ (ნიკოლოზ - ა.მ.) უკუნისამდე ჟამთა და ხანთა გასათავებელი, მიზეზდაუდებელი, მტკიცე და უცვალებელი საბოლოო წიგნი და სიგელი გიბოძეთ შენ გამსახურდაშვილს დემეტრეს (ხაზგასმა საბუთითაა - ა.მ.), შვილთა და მომავალთა სახლისა შენისათა ამა პირსა ზედან ქართლიდამე ჩამოხვედით, წმიდის გიორგის შემოეწირენით და ეყმენით და ჩუენც შევიტყევით რომ, საყდრის



გამოსადეგნი კაცნი იყვენით და მისი სანუქფო წყალობა გიყავით. მამულის წყალობასა და აზადობის დაგვეაჯენით, ვისმინეთ აჯა და მოხსენება შენი და გიბოძეთ კენჭაძის ნაქონი მამული, ვენახი, მთელი საკუამლო მისის სასახლითა, ქვევრ-მარნითა, შესავლითა და გამოსავლით, წყლითა და წისქვილითა, მთითა და ბარითა და ყოვლის მისის სახნავითა და უხნავითა და გასადევარითა და მისი სამართლიანისა სამძღვრითა. აგრეთვე აზადობის დაგვეაჯენით. ვისმინეთ აჯა და მოხსენება შენი და გაგააზადეთ, რომ მსახურობის მეტი არა გეთხოებოდეს რა: არა კულუხი, არა ბეგარა, არა კოდის პური, არა სხვა სამოყალნეო გამოსაღები, არა გეთხოებოდეს რა თვინიერ საბატონოს (სამეფოს - ა.მ.) საურისა და ლაშქარნადირობის გარდა. ამრიგად გაგვიაზადებიხართ სულ საბოლოოდ, არარას ალავერდელის ჟამში ეს ჩუენგან წყალობა და აზადობა არ მოგეშალოს არა ჩუენგან, არა შემდგომად სხვათა მეპატრონეთა ალავერდელთაგან არ მოგეშალოს.

ან ვინცა და რამანაც კაცმან თუ ალავერდელმან ამისად შლად ხელყოს, თავად რისხავს ღმერთი და მერმე ყოველნი წმინდანი მისნი. არიან ამისი მოწმენი საყდრის აზნაურიშვლები, სახლთუხუცესი კი რაულიძე ზაალ, სულხანისშვილი სულხან, მგალობლისშვილი გიორგი და სულ საყდრიონი აზნაურისშვილები, ხორხელთ ნაცვალი თურქისტანისშვილი შიო და სულ ერთობილ საყდრის (ალავერდის წმინდა გიორგის - ა.მ) ყმანი. მე მგალობლისშვილს იოსებს დამიწე-



რია და მოწმეცა ვარ. დაიწერა წიგნი ესე ქორონიკონს ტოე (1687 წელს - ა.მ.)".

წყალობის წიგნს ახლავს ხელრთვა ხვეულად - ალავერდელი ნიკოლოზ და ოთხკუთხა ბეჭედი წარწერით - „ალავერდელი ნიკოლოზ" (საქართველოს მთავარი საისტორიო არქივი, ფონდი 1449, საბუთი 1856, ფურც. 1-2).

როგორც დავინახეთ გამსახურდია წყალობის სიგელში გამსახურდაშვილად არის მოხსენიებული, რაც იმით აიხსნება, რომ ქართლ-კახეთში ხშირად ერთმანეთის პარალელურად გვხვდება გვარები - გამსახურდია და გამსახურდაშვილი. მაგალითად, XVIII საუკუნის II ნახევარში ქართლში მცხოვრებ იოანე გამსახურდიას საბუთებში დაბოლოება „შვილის" მიუმატებლად წერდნენ, მის შვილიშვილს - იოანე იორდანეს ძე გამსახურდიას კი გამსახურდაშვილად.

ამ ფრიად საგულისხმო ისტორიულ საბუთებში მრავალი რამ იპყრობს ყურადღებას. დავიწყოთ იმით, რომ სიგელის გამცემი კახეთის უპირველესი მღვდელმთავარი - ალავერდელია. ორიოდე სიტყვა ამის შესახებ. ცნობილია, რომ კახეთის მეფე გიორგი I-მა XV საუკუნის 60-იან წლებში კახეთის მღვდელმთავრებს - ალავერდელს, ბოდბელს, რუსთველსა და ნეკრესელს საეპისკოპოსოების ხელმძღვანელობასთან ერთად შესაბამის სადროშოთა სარდლობაც დააკისრა. ამიერიდან მათ დაუკითხავად კახეთის მეფეები არც

გვ. 6

„ქუჯის" ფოსტა

# რას ეტყვით თქვენს ერს და მომავალ თაობას?..

გვ. 2

სიმღერებს (რა თქმა უნდა, უფრო უცხოურს), უნიჭო შოუ წარმოდგენებს და უგბილო ხუმრობებს, ძალაუნებურად გებადება აზრი: რა ნელ-ნელა ვიძირებით უზნეობის მორევში.



სსრ კავშირის უშიშროებას ჰქონდა სპეციალური სამსახური, რომელიც ჭორებს ავრცელებდა. ეს ვაკუუმი წარმატებით შეავსო საქართველოს ტელევიზიამ, განსაკუთრებული აგრესიულობითა და წარმოუდგენელი სიყალბით გამოირჩევა პირველი არხი. აქ ჩვენდა უნებლიეთ გახსენდება ჰებელსის ცნობილი პრინციპი: ტყუილი უნდა იყოს ისეთი მასშტაბების და ისე უნდა ითქვას, რომ მსმენელმა იგი მიიღოს შემდეგი რწმენით: ასეთი ტყუილის თქმა არ შეიძლება, მაშასადამე მართალია"-ო.

ზვიად გამსახურდიას მოღვაწეობის მოკლე პერიოდში თუ ყველაფერში ქართულმა ეროვნულმა სულმა გაიღვიძა, დღეს, ე. შევარდნაძის მმართველობისას, ეროვნული თითქმის ყველაფერი იდევნება. სასაცილოა, იხსენიებოდეს „ეროვნული სტადიონი", „ეროვნული ბანკი", „ეროვნული ბიბლიოთეკა" და ა.. მაშინ, როცა პასპორტებში ეროვნებას არ წერენ!

ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორმა ლევან ბერძენიშვილმა ისიც კი განაცხადა, რომ თურმე ილია ჭავჭავაძეს არ ცნობს, როგორც მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს. აი, დღევანდელ ხელისუფლებას როგორი „ეროვნული" ხელმძღვანელები ჰყავს ეროვნულად სახელდებულ დაწესებულებებში.

დღეს ლევან ბერძენიშვილისნაირად მოაზროვნე ვაიპოლიტიკოსები უმრავლესობას წარმოადგენენ, როგორც პარლამენტში, ისე სახელმწიფო სტრუქტურებშიც, ხოლო თავად ის სახელმწიფო მეთაური, რომელიც ხან ჩრდილოეთის მზეს იფიცება და ხან - დასავლეთისას, ერის საკეთილდღეოდ ვერაფერს გააკეთებს.

არ არსებობს თუნდაც ერთი ქვეყანა, გარდა ჩვენი გაუბედურებული საქართველოსი, სადაც ასე უმოწყალოდ ირღვეოდეს ადამიანთა უფლებები. რომელი ერთი ვთქვათ, ან რა დავასახელოთ ისეთი, რისი უფლებაც საქართველოში არსებული კანონმდებლობით დაცულია?

როდესაც ეროვნული ხელისუფლება მოვიდა სახელმწიფოს სათავეში, აფხაზეთის ქართულმა მოსახლეობამ ქართველობა ვიგრძენით. თუ აქამდე რუსულ სკოლებში მეჰყავდათ ბავშვები, ბატონი ზვიად გამსახურდიას მოღვაწეობის პერიოდიდან ქართველთა უმეტესობამ ქართულ სკოლებში დაიწყო ბავშვების შეყვანა და ეს არ ხდებოდა მხოლოდ აფხაზეთში. არადა, აფხაზეთის ზოგიერთ რაიონში ქართული სული თითქმის არ სუფევდა.

რაც შეეხება საქართველოს ე.წ. პარლამენტის მიერ „პრივატიზებულ" აფხაზეთის დეპუტაციას, რომელიც ხელისუფლების უმაღლეს ორგანოში მოკალათდა აფხაზეთის დაცემის დღიდან, მისი ყველა წევრი ეროვნული მთავრობის იდეების წინააღმდეგი იყო. ხსენებული დეპუტაცია არ წარმოადგენს აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობის იმ 90 პროცენტის ინტერესებს, რომელიც მხარს უჭერდა კანონიერ ხელისუფლებას, ისინი დღევანდელი „მთავრობის" დაკრულზე ცეკვავენ.

დღეს, ზოგიერთების თქმით, საპრეზიდენტო არჩევნებს თუ ბოიკოტი გამოეცხადა, სირცხვილია, - დასავლეთის ქვეყნები ცუდი თვალით შემოგვხედავენ და ქვეყანაში ისევ ქაოსი იქნებაო. თავად შევარდნაძემ კი განაცხადა - 1992 წელი განმეორდებაო - ვითომდა მისი ბრალი სულაც არ იყო კანონიერი ხელისუფლების ჩამოგდებით ჩვენს თავს დატეხილი უბედურება.

მომწიფდა დრო, რომ დევნილებმა ბოლოსდაბოლოს გამოიღვიძონ, პროტესტი განუცხადონ ე.წ. მთავრობას არა იმის გამო, რომ დროზე არ მიიღეს კუთვნილი პენსია 10-11 ლარი, არამედ იმის გამო, რომ სწორედ ამ ე.წ. ხელისუფლების ბრალით გახდნენ დევნილები საკუთარ სამშობლოში.

დადგა დრო, როცა ყველა ქართველმა უნდა აღიაროს, სიტყვით და საქმით დაადასტუროს, რომ საქართველოში ამჟამად გაბატონებული რეჟიმი არის იარაღით მოსული, არაკანონიერი და ანტიეროვნული, რომ მისი საქმიანობა ძირეულად ეწინააღმდეგება ქართველი ერის სასიცოცხლო ინტერესებს და საფრთხეს უქმნის საქართველოს მომავალს.



მჯერა, რომ არ არის შორს ის დრო, როცა ყველას და ყველაფერს თავისი სახელი დაერქმევა და მაშინ რას ეტყვით ხელისუფალნო თქვენ ერს და მომავალ თაობას?..

## ჩვენი რწმენა

# ივერიის ღვთისმშობელი (პორტაიტისა)

999 წლის 31 მარტს ათონის ივერთა მონასტრის შორიახლოს, ზღვაში, გაბრიელ ქართველმა ხუცესმონაზონმა პირველმა იხილა თავისი მოსაგრეობის ადგილიდან, გამოქვაბულიდან, ივერიისად წოდებული ხატი დედისა ღვთისა, რომელზედაც ზეციდან ცეცხლოვანი სვეტი იყო დაშვებული. ყოვლადწმიდამ სწორედ ამ წმიდა ბერის ხელით ინება ნაპირზე გამობრძანება და იმ დღიდან ივერთა მონასტერიცა და მთლიანად ათონის წმინდა მთაც ამ საკვირველმოქმედი ხატის მფარველობის ქვეშ მოექცა, ვითარცა ღვთისმშობლის წილხვედრი.

წმიდა ნილოს მირონმდინარის წინასწარმეტყველებით, როდესაც ივერიის წმიდა ხატი ათონის ნახევარკუნძულს დატოვებს, ბერებმაც სასწრაფოდ უნდა დატოვონ თავიანთი სავანეები და წავიდნენ სადაც სურთ, ოღონდ მონაზნობის აღთქმა წმიდად შეინახონ, რამეთუ მას შემდეგ, რაც ხატი ამ ადგილს დატოვებს, დამანგრეველი მიწისძვრით ათონი ზღვაში ჩაინთქმება. ეს იქნება ღმრთისმშობელი მარიამის გაფრთხილება, რომ ანტიქრისტე უკვე გამეფდა ქვეყანაზე.

ათონური წინასწარმეტყველების თანახმად, მას შემდეგ, რაც ხატი ათონს დატოვებს ივერიაში დაივანებს და სწორედ მის აქ მობრძანებასთანაა დაკავშირებული ივერიის გაბრწყინებაც.

ივერიის ღვთისმშობლის ხატთან ჩაუქრობლად ანთია კანდელი, რომლისგანაც მომდინარე სასწაულები უტყუარი ნიშანია იმისა, რომ ყოვლადწმიდა დედოფალი მუდამ ჩვენთანაა და მისით წმიდა მთაზე საცნაური ხდება, თუ როგორ სცემს მსოფლიოს სიცოცხლის პულსი.

კანდელი გარკვეულ დღეებში სასწაულებრივად ბრუნავს ღვთისმსახურებისას. მის თვითნებურ ბრუნვას მონასტერში ამგვარად ხსნიან: დედა ღვთისა მიმართავს იქ მყოფთ: აი, ნიში, რომელსაც თქვენ ხედავთ, - მე თქვენთანა ვარ... ხოლო სადაც დღეებში კი მიანიშნებს, რომ მთელი ქვეყნისთვის რაღაც უბედურება ახლოვდება გლობალური შედეგებით.

მთაწმინდელები მოგვითხრობენ: მანამდე, ვიდრე თურქები კუნძულ კვიპროსს დაესხმოდნენ თავს, სადაც დღეებში კანდელი იმდენად ბრუნავდა, ზეთს კი იქცეოდა კიდეებიდან. კანდელის გაძლიერებული მოძრაობისას ბერები ამცნობენ წმიდა მთის ყველა მონასტერს, დაიწყონ გაძლიერებული სავედრებელი ლოცვები ღვთისმშობლის მიმართ.

ივერიის კარის ღვთისმშობლის საკვირველმოქმედი ხატის უამრავი პირი მთელს მსოფლიოშია მიმოფენილი, რომელთაგან მრავალი სასწაულთმოქმედებს: ათენის, რომელმაც მომაკვდავი ჭაბუკი ილია მელისურგოსი განკურნა, რის შემდეგაც დედამისმა ოქროს სამაჯური შესწირა არგონალს და რომელიც დღემდე ამშვენებს ხატს; ამერიკის, რომლის წინაშე სავედრებელი პარაკლისი აღევლინა 8 თვის მომაკვდავი ჩვილის მატიადა სტაფასთვის, რომელიც ნიუ-იორკის ერთ-ერთ საავადმყოფოს რეანიმაციულ განყოფილებაში იწვა. ხატიც სწორედ იქ იქნა მისვენებული. მალე ჩვილს პირიდან სისხლისდენა შეუწყდა, კანმა ბუნებრივი ფერი მიიღო და გოგონა ამოძრავდა. ბავშვი სავსებით განიკურნა. ამ სასწაულმა მაშინ მთელი ამერიკა შეძრა და ათასობით ადამიანი დაიძრა ხატის მოსალოცად.



საბერძნეთის ერთ-ერთი სოფლის, ჰერა მალიტას, მღვდელს 20 წლის მამამ, რომელსაც ივერიის ღვთისმშობლის ფოტოასლი ჰქონდა, ღამე ლოცვაში გაატარა და შვილისთვის ევედრებოდა ყოვლადწმიდა დედოფალს. გამთენიისას გოგონა სრულიად განიკურნა.

მადლიერმა მამამ წერილობით მიმართა ივერთა მონასტრის საძმოს და ამცნო ეს სასწაული.

ბოლო დროს განსაკუთრებით განითქვა მონრეალში მყოფი ივერიის მირონმდინარე ხატი, რომელიც 1981 წელს ათონელმა ბერებმა მოხატეს. იგი მონრეალში წამოაბრძანა მორწმუნე ესპანელმა ხოსე მუნოზმა, ამ ხატიდან უხვად მოედინებოდა მირონი წლების განმავლობაში და მრავალ სასწაულებრივ კურნებას ახდენდა (სულ რამდენიმე წლის წინ ხოსე მუნოზი მხეცურად მოკლეს ათენის ერთ-ერთ სასტუმროში და ხატი გაიტაცეს. საქმე დღესაც იდუმალებითაა მოცული).

1988 წელს სიყვარულის მოციქულის წმ. იოანე ღვთისმეტყველის ხსენების დღეს ათონის წმინდა მთიდან საქართველოში ჩამობრძანდა ივერიის ღვთისმშობლის ხატის ასლი, რომელიც დღეს სიონის ტაძარშია დამკვიდრებული.

წინასწარმეტყველების თანახმად, ანტიქრისტეს გამეფების წინა პერიოდში მორწმუნე ქართველობა ქალაქ თბილისსა და ბათუმში ტაძარს აუგებს ივერიის ღვთისმშობლის ხატს, რომელიც დატოვებს ათენის მთას და წილხვდომილ ივერიას დაუბრუნდება.

სრულიად საქართველოს და ყველა კეთილი ნების ადამიანს ჰფარავდეს ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის მადლი აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე...

**„წმიდისაგან ხატისა შენისა, ჰოი დედუფალო ღვთისმშობელო, სიმრთელენი და კურნებანი უხვად მოეცემიან ყოველთა სარწმუნოებით და სიყვარულით მისდა მოლტოლვილთა, ამისთვის ჩვენსაცა უძლურებასა მოხედენ და შეიწყალე სული ჩვენი სახიერო, ხოლო ხორცით განგვკურნე, მადლითა შენითა, ყოვლადწმიდაო".**

მასალა მოამზადა თეა ცირეკიძემ

მამა ლაზარეს (კანდელაკი) ლოცვა-კურთხევით

## ხსოვნა

დიდი ხანი არაა, რაც მიქაიების ოჯახი დიდმა მწუხარებამ შეძრა. ხუთი დის ერთადერთი სანუკვარი ძმა ოჯახს გამოაკლდა. მოამაგე და მოიმედე ერასტი მიქაიამ უდროოდ დასტოვა ოჯახი, მეგობრები, სამშობლო... სამშობლო, რომელიც აგრერიგად უყვარდა, მის თითოეულ ტკივილსა და ვარამს სიღრმისეულად განიცდიდა, გულთან მი-ჰქონდა ქვეყნისა და ხალხის შეჭირვება.

ვერ გაუძლო მისმა სპეტაკმა, სათნო გულმა და უჩუმრად დატოვა ამქვეყნიური ცხოვრება... გავა დრო, შვილები დაიზრდებიან და მამის - ერასტი მიქაიას ხსოვნას სათუთად შეუნახავენ მომავალ თაობას.

**საქართველოს ეროვნული ხსნის მოძრაობა – წინააღმდეგობის ფრონტი**

სრულიად საქართველოს წმიდა ილია მართლის საზოგადოება თანაგრძნობას უცხადებს ამავე საზოგადოების წევრს მანონი შავლიას - ძმის

**რენონი შავლიას**

გარდაცვალების გამო.

1993 წლის 28 აგვისტოს, მარიამობის დღეს, მოძალადე ხელისუფლებასთან შეტაკებისას 22 წლის ასაკში შეწყდა ზაზა (ნუკრი) ჯაიანის გულის ძგერა. ქართულ მიწაზე დასრულდა მისი ლამაზი სიცოცხლე.

1992 წელს ფაქტობრივი ხელისუფლების შეიარაღებული წარმომადგენლები სამეგრელოში შევიდნენ თითქოსდა სტაბილიზაციის „დასაცავად", მაშინვე იარაღით ხელში დადექი კანონიერი ხელისუფლების მომხრეთა გვერდით და იცავდი დაუცველ კუთხეს, უზომოდ გიყვარდა შენი ერი, დედასამშობლო საქართველო.

ულალატო იყავი თავად, ბოროტის ხელმა შეწყვიტა შენი ლამაზი სიცოცხლე. ლამაზად წახვედი იმქვეყნად და თან გაგყვა დიდი სევდა და აუხდენელი ოცნებები. ადრე დაობლდა სიჭაბუკის წლები... ვაი, რომ მეტის გაკეთება ვერ მოასწარი. მწარე ტკივილად გაგყვა დღევანდელი უკუღმართი საქართველოს ბედი.

დააკლდი მშობლებს თბილი მოსიყვარულე შვილი, თანატოლებს - ულალატო მეგობარი, საქართველოს - უპრეტენზიო ჯარისკაცი. წახვედი ისე, ამ ცისქვეშეთში გვარის გამგრძელებელი ვერ დატოვე...

ჩვენ, შენს მეგობრებს გვეამაყება, რომ ერთმანეთის გვერდით ვიდექით, წინ საერთო სანთელი - საქართველოს თავისუფლება გვენთო. გვეამაყება ჩემო უმცროსო ძმაო და შვილო შენი მართალი ცხოვრება. იცოდე ჩემო ზაზუნა, მოუშუშებელია სამეგრელოს ნაწამები სული და სხეული.

იცოდეს ყველამ, რომ ჭეშმარიტ ქართველს, დავითისა და ცოტნე დადიანის, ზვიად გამსახურდიას და მერაბ კოსტავას საქართველოს ვერავინ დააჩოქებს.

მამულისთვის თავდადებულნო! გჯეროდეთ, თქვენს სახელს ჩრდილს არასოდეს მივაყენებთ. მოვალთ თქვენს საფლავთან და ჩამოგძახებთ: „ძმებო, რაინდებო: თქვენ გაიმარჯვეთ! ჩვენ გავიმარჯვეთ! მთელმა საქართველომ გაიმარჯვა"!

ტკბილად გეძინოთ ჩვენო ძმებო თქვენს მუდმივ სამყოფელში, თქვენი მეგობრები არასოდეს დავივიწყებთ თქვენს სახელს. მარად გიგულებთ ზეციურ საქართველოში ჩვენთვის საფიცარი სულიერი ძმების გვერდით.

უფალმა ნათელში ამყოფოს თქვენი სული. ამინ.

*დოდო მაჭავარიანი-გულუა*

---

aკაკი მათიაშვილი

# ბატონი ზვიად გამსახურდიას გვარის გენეალოგიის შესახებ

გვ. 5

ერთ მნიშვნელოვან საკითხს არ წყვეტდნენ. მათგან მეფის მარჯვენა ხელი და უპირველესი მრჩეველი ალავერდის მიტროპოლიტი იყო. მას მეფის მარჯვნივ უცვლელად პირველი ადგილი ეკავა, ისევე როგორც ერთიანი საქართველოს მეფეს მარჯვნივ პირველ ადგილზე კათალიკოს-პატრიარქი ჰყავდა. აი, როგორი გავლენიანი თანამდებობის პირი იყო ალავერდის ეკლესიის ხელმძღვანელი და სადროშო სარდალი - ალავერდელი. გავიხსენოთ ისიც, რომ სახელდობრ სიგელის გამცემი ნიკოლოზ ალავერდელი (ანდრონიკაშვილი) თეიმურაზ II-ის მცირეწლოვანობის ჟამს მთელ კახეთს განაგებდა. ეს იყო 1709-1715 წლებში.

სიგელის ყოველი სიტყვა, ყოველი სტრიქონი გამსჭვალულია გამსახურდიების (გამსახურდაშვილების) სახელოვანი გვარის მიმართ განსაკუთრებული პატივისცემით, ზრუნვითა და ყურადღებით. ასეთი რამ კი თავისთავად არ მოდის. ვახტანგ VI-ის, გიორგი IV-ისა და ნიკოლოზ ალავერდელის დამოკიდებულება ამ გვარის მიმართ თვალხმიერი გამოძახილია იმ საერთო კეთილი დამოკიდებულებისა, რასაც გამსახურდიების მიმართ იჩენდნენ ქართლში, კახეთსა და ოდიშში.

მართლმადიდებლური ეკლესიის მიმართ გამსახურდიების დიდ მონიწებაზე მეტყველებს ისიც, რომ XVII საუკუნის 80-იანი წლების დაძაბული ვითარების გამო („ავის დროის მიზეზით") ქართლიდან კახეთში საცხოვრებლად გადასული დემეტრე გამსახურდია (გამსახურდაშვილი) და მისი ძმა გაბრიელი ნებაყოფლობით აცხადებენ თავიანთ თავს ალავერდის წმიდა გიორგის ეკლესიის კუთვნილებად. ამიტომაა, რომ ნიკოლოზ ალავერდელი მათ „საყდრის გამოსადეგ კაცებს" უწოდებს. საგულისხმოა ისიც, რომ ზემოხსენებული იოანე იორდანეს ძე გამსახურდიაც (გამსახურდაშვილი) 1798 წლის თიბათვის 10-ს ეპისკოპოსს იუსტინე მროველისადმი წარდგენილ არზაში თავის თავს რუისის ეკლესიის კუთვნილებად აცხადებს. მამაჩემი - იორადნე გამსახურდია ამ ეკლესიის კუთვნილი იყო და მეც საეკლესიოდ ჩამწერეთო.

სიგელის გაცემის დროისათვის დემეტრე გამსახურდაშვილს (გამსახურდიას) ქართული ეკლესიის წინაშე იმდენი დამსახურება ჰქონია, რომ ნიკოლოზ ალავერდელი ამის სანუქფოდ (სამაგიეროდ) მას აძლევს მთელ საკომლოს, სახლ-კარს, ვენახს, სახნავს და ა.შ. ამასთანავე, ათავისუფლებს მას თითქმის ყველა გადასახადისაგან, გარდა სამეფო საურისა და ლაშქარ-ნადირობაში მონაწილეობისა.

ნიკოლოზ ალავერდელისაგან ეს შეწირულობა დემეტრე და გაბრიელ გამსახურდაშვილებმა (გამსახურდიებმა) მიიღეს სოფელ ალავერდულაში მდინარე ალაზნის ახლოს. შემდგომში, სახელდობრ 1768 წელს, ზენონ ალავერდელმა დემეტრესა და გაბრიელის შთამომავლობას სრული ძალით განუახლა ნიკოლოზ ალავერდელის წყალობის სიგელი.

მართლმადიდებლური ეკლესიის მიმართ გამსახურდიების ასეთი დამოკიდებულება ხომ არ მიგვანიშნებს იმაზე, რომ ისინი საეკლესიო აზნაურები იყვნენ? ყოველ შემთხვევაში, ასეთ საფუძვლიან ვარაუდს აქვს არსებობის უფლება.

(გაგრძელება მომდევნო ნომერში)

პოეზია

**ცირა ყურაშვილი**

### 1993

მლაშე ყვავილები დაგვიბუგდა
დალლილ მზერაში ცისკენ და ციდან
უფალო, მიგვიხმე ღვთისმშობლის უბიდან
აქ ჯოჯოხეთი ამოიზიდა.
შვინდის ღრომებიც ამოიზვირთა
და სისხლისფერი ედოთ იმ ქედებს
გადადიოდა როცა ზვიადი,
გამოდიოდა როცა იქედნე.
ეშმამ მონუსხა რომ გვიმეცნებდეს
მომმე ქართის და ჩვენი ჯილაგის
ის შემოვიდა შავი მუნდირით,
შავი მცრედებით, შავ ჩიჩილაკით
და ამ ქუხილში და ამ გრიალში
კიარ გვკლავენ და კიარ გვეხვრიან
ჭლაფმისხმული და შეგინებული
თავზე ცაძარი გადაგვემსხვრია.
მკვდარი ჩიტები მიირწევიან
კავკასიონზე ღრუბლის ფრთილებით
ძირს რა ეცყობა ღვთისმშობლის მინას
ქრისტეს სისხლივით დაღვენთილები.

### ბედკრული ქვეყნის შვილი

ბედკრული ქვეყნის შვილი
არ დავლევ აქარალგინს
არ მოვწევ ვაისროის
არ გავიხეხავ კბილებს ქოლგეითით
არც ავიხედავ ცაში
არც გავიხედავ გვერდზე
არც ჩემოდანს ჩავალაგებ
არ ჩავალაგებ ჩემოდანს
დავდგები პენსიონრებში ფოსტასთან
სადაც ახლა მათი სახლია შუა ქუჩაში
ათენებენ და აღამებენ პენსიისთვის
და შედგენილი გრაფიკის მიხედვით იხოცებიან
არ დავიბან თმას პანტენით
არ დავლეჭავ დიროლს და ორბიტს
არ შევხედავ ახალ პამპერსებს
არ დავლევ კოკა-კოლას
არც ლუდ აისს
გიჩივლებთ უფალთან
აგიბუნტებთ ხალხს
გასკდით გულზე
არ დავლევ აქარალგინს

### ტალღა

ზღვის პაწარა ტალღა
ვერ მიაღწევს ნაპირს,
ვერ გალოკავს ქვიშას.
დაეწევა ზვირთი,
გადაუვლის თავზე,
ლონემიხდილს, დაღლილს,
ჩაკარგავს და დაშლის.
ზვირთებს ერჩით ძალა,
ძალადობა გასდით.

### მძიმე ჯვარი

სოხუმს ცრემლი შეშრობოდა,
წვიმად აღარ ცრიდა.
ნიავიც კი არ იძროდა,
აფრებს არა შლიდა.

**ოთარ ურუშაძე**

მზე ზღვის ბილიკს აშუქებდა
ჩასვლის ჟამს ჟამს ითვლიდა.
შავი ნისლი ეშვებოდა,
ჩრდილოეთის მხრიდან.
ნისლი კვამლში ირეოდა,
ცეცხლი აღარ წვიმდა.
ნახანძრალი სახლის ზღურბლთან,
შაოსანი იდგა.
მწუხრის ზარი არ ისმოდა
მწუხარების მიღმა.
გოლგოთის გზა სვანეთისკენ
იწყებოდა ზღვიდან,
საქართველო ამ გზის პირას
მძიმე ჯვარით იდგა.

**ბაჩო იმერლიშვილი**

# „ბარბაროსი" სარდალი და „ცივილიზებული სარდალი"

*კაცი ცრუ და მოღალატე ხამს ლახვრითა გასაგმირად*
*რუსთაველი*

16 საუკუნის წინათ „ბარბაროსი" სარდალი გეიზარიხი შეესია ნუმიდიას, ნეტარი ავგუსტინეს სამშობლოს. მოაოხრა ქალაქები და სოფლები, შემოადგა ჰიპონში ავგუსტინეს სამყოფელს, ირგვლივ ყველაფერი დაარბია, ოღონდ განკარგულება გასცა, ავგუსტინეს საცხოვრისისა და ნაწერებისათვის ხელი არ ეხლოთ, პირიქით, მოევლოთ და დაეცვათ. წინააღმდეგ შემთხვევაში, სასტიკი სასჯელით იმუქრებოდა. ასე გადაურჩინა „ბარბაროსმა" სარდალმა გეიზარიხმა კაცობრიობას ნეტარი ავგუსტინე ავრელიუსის გენიალური შემოქმედება უკვდავების უკლებლივ!



აი, ასე გამოიყურებოდა დიდი მწერლის სამუშაო ოთახი კოლხურ კოშკში, ხანძრის შემდეგ.

ეს ორი ადამიანი გახლდათ სხვადასხვა რელიგიის აღმსარებელი: გეიზარიხი იყო წარმართი, არიოზული მწვალებლობის მიმდევარი; ავგუსტინე - მართლმადიდებელი, ქრისტიანული სარწმუნოების მიმდევარი.

დღეს, იმ დროიდან 16 საუკუნის შემდეგ, „ცივილიზებული სარდალი" ედუარდ შევარდნაძე საქართველოში შემოუძღვა ბოროტების იმპერიის შეიარაღებულ ბანდებს, შემოადგა თბილისში მთავრობის სასახლეს, სისხლისმღვრელი ბრძოლების შემდეგ განდევნა კანონიერად არჩეული სახალხო ხელისუფლება, დაანგრია და გადაბუგა დედაქალაქის გული - კულტურის ძეგლები: სკოლები, მუზეუმები, არქივები, საცხოვრებელი სახლები. ჯერ გაძარცვა დიდი მწერლის, კონსტანტინე გამსახურდიას სახლ-მუზეუმი, მერე ცეცხლს მისცა არქივითურთ!..

„ცივილიზებული სარდლის" სისხლიანი ვაკხანალია ფართოვდება და გრძელდება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე!..

ეს ორი ადამიანი კი გახლავთ ერთნაირი რელიგიის აღმსარულებელი: შევარდნაძე ითვლება მართლმადიდებლად, ქრისტიანული სარწმუნოების მიმდევრად. კონსტანტინე გამსახურდიაც იყო მართლმადიდებელი, ქრისტიანული სარწმუნოების მიმდევარი.

გეიზარიხი ნუმიდიაში მოქმედებდა 16 საუკუნის წინათ! ნუმიდიაში იგი არც დაბადებულა, არც გაზრდილა, არც უცხოვრია!

შევარდნაძე საქართველოში მოქმედებს იმ დროიდან 16 საუკუნის შემდეგ! აქ დაბადებულა, აქ გაზრდილა და აქ უცხოვრია!

სჭირდება მათ შედარებას რაიმე კომენტარი? - რაღა თქმა უნდა, არა! მაგრამ ძალზე ძნელია თავის შეკავება.

> დღეს, იმ დროიდან 16 საუკუნის შემდეგ, „ცივილიზებული სარდალი" ედუარდ შევარდნაძე საქართველოში შემოუძღვა ბოროტების იმპერიის შეიარაღებულ ბანდებს... ჯერ გაძარცვა დიდი მწერლის, კონსტანტინე გამსახურდიას სახლ-მუზეუმი, მერე ცეცხლს მისცა არქივითურთ!..

რა უზარმაზარი განსხვავებაა 16 საუკუნის წინანდელ გონიერ, სულგრძელ, „ბარბაროს" წარმართ სარდალ გეიზარიხსა და 16 საუკუნის შემდეგდროინდელ უგუნურ, სულმდაბალ, „ცივილიზებულ" ქრისტიან „სარდალ" შევარდნაძეს შორის!

ახლა წარმოიდგინეთ „ცივილიზებული სარდალი" შევარდნაძე „ბარბაროსი" სარდლის გეიზარიხის ადგილას. მტვერი თუ შემორჩებოდა კაცობრიობას ნეტარი ავგუსტინეს შემოქმედებისა, ქრისტიანული სამყაროს ამ საოცრებისა.

როგორც ვხედავთ, ამ ორ homo Sapiens-ს ორი არსებითი ურთიერთგამომრიცხავი თვისება აქვს: გეიზარიხი თავის მიწა-წყალს და სიმდიდრეს აძლიერებს და ამრავლებს, შევარდნაძე „თავისი" ქვეყნის მიწა-წყალსა და სიმდიდრეს ასუსტებს, აჩანაგებს და ანიავებს. ეს ბუნებრივიც არის: მას თავისი ღვთისმგმობლური იდეოლოგიური მრწამსის გამო საქართველო საკუთარ სამშობლოდ არ მიაჩნია. თავისი თავი ისევე არ მიაჩნია ქართველად, როგორც ამ ქვეყნის ერთ-ერთ უმთავრეს დამაქცევარს არ მიაჩნდა: „ჩვენ რუსი კომუნისტები" - იწყებდა იგი წერას თუ საუბარს. „მე ვერაფრით ვერ მოვახერხე ქართველების ეროვნულობაზე, სამშობლოზე მაღლა დაყენება!" - აცხადებს „ცივილიზებული სარდალი". ქართულ მიწაზე დაბადებულ და გაზრდილ კაცს რომ ასეთი რამ თავში მოუვა, შეიძლება ის ნორმალურად ჩაითვალოს?!

სამშობლოზე მაღლა რაიმეს ან ვინმეს დაყენება შეიძლება, მხოლოდ უზნეო და უღირსმა ადამიანმა მოითხოვოს. შეიძლება და ითხოვს კიდევაც: კანიბალთა იმპერიის მიერ მცირე ერთა სახიფათო მტრად გაწვრთნილ-გამოზრდილი „ძმათა" სისხლში მოთხვრილი კონდოტიერი!..

აი, რას ნიშნავს ბოლშევიზმით გარყვნილი და გადაგვარებული, კარიერიზმით დაავადებული homo sovieticus-ი!

აი, ვინ დასვა ვაიქართველ რენეგატთა ხელშეწყობით მცირე ერთა უბოროტესმა მტერმა - კანიბალების იმპერიამ ქართველი ხალხის, მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე უძველესი და უნიკალური კულტურის ხალხის ბედის განმგებლად!

შედეგიც ისეთივეა: ყველაფერი გაპარტახებული, ივარქმნილი და აოხრებული!

*წინათქმა*

რეტრო წარსულის, ჩავლილის გახსენებას ნიშნავს და მეტწილად სასიხარულო, სასიამოვნო მოვლენასა თუ ამბავთან არის ხოლმე დაკავშირებული. თუმცა, ზოგჯერ იძულებით, გარკვეული მიზეზების გამო, უსიამოვნოსა და შემაძრწუნებლის მეხსენებაც აუცილებელი ხდება, რადგან ამას გახსენების პერიოდში შექმნილი ვითარება მოითხოვს. სამწუხაროდ, უმძიმეს შეჭირვებასა და განსაცდელში ჩავარდნილ მართალ ქართველებს, ეროვნული ხელისუფლების არსებობისა და საქმიანობის რამდენიმე თვიანი საამო პერიოდის გამოკლებით, გასახსენებლად მხოლოდ უბედურებისა და მწუხარების, გლოვის, შიშის მავნელი წლები შემოგვრჩა. დაგვეთანხმებით, ძნელია ყველა იმ ტკივილის ხელმეორედ შეგრძნება, დამძიმებული სულის კვლავ აფორიაქება, მაგრამ ისევ და ისევ აუცილებლობის გამო, უფრო კი გამოსაფხიზლებლად, საჭიროდ მივიჩნევთ ახლო წარსულის უმძიმესი დღეებისა თუ მოვლენების დღეს უკვე სრულიად განსხვავებული თვალსაზრისით, თუნდაც მოწოდებითი

# რეტრო ანუ ისმინეთ!

**გელა ჯიღაური**

განსჯისათვის. ამჯერად, 80-იანი წლების მიწურულის იმ უმცირესი ქართველი ახალგაზრდების, სტუდენტებისაგან თქმული და ნამოქმედარი გვინდა გავიხსენოთ, სამშობლოს მოღალატეთაგან და გამყიდველებისაგან მზერაჩამქრალებმა, სმენადახშულებმა რომ იკისრეს და თავიანთი ამ დანაშაულებრივი საქციელით მხარი აუბეს, ხელი შეუწყვეს კანონიერი ხელისუფლების დამხობას, პრეზიდენტის გაძევებს, ძმათამკვლელი ომის გაჩაღებას, საქართველოს დაშლა-დანაწევრებას, გაპარტახებასა და გაჩანაგებას. იბერიის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის დამასამარებელი წითელი წინამძღოლებისაგან შეგულიანებულ-წასისინებულმა გ. მაისურაძემ, გ. ბარამიძემ, დ. ტურაშვილმა, ფ. ფიჩხაძემ და ერთმა მუჭა მათმა თანამოაზრეებმა გამოუსწორებელი დანაშაული ჩაიდინეს ერის წინაშე. გაბოროტებულმა და გულღრძო ახალგაზრდებმა დაუნანებლად გასწირეს, ზურგი აქციეს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას შეერთებული, კანონიერი ხელისუფლების გვერდში მდგომი უმრავლესი თანატოლის თავგანწირვას, მამულის გათავისუფლების მოწოდებას და მოღალატეთაგან შეპირებული ჯილდო-თანამდებობებს დახარბებულები, დაღუპულთა გვამებზე და სისხლის ტბორებზე გადალაჯებით წამოსხდნენ „პარლამენტსა" თუ „სამთავრობო" სტრუქტურებში. დღეს, მაფიოზ მძარცველებთან შეკავშირებული, სხვადასხვა რანგის თანამდებობას ჩაბღაუჭებული ეს არსებანი ცეკა-ტეკას კორუმპირებულ, პატიოსნების, სიმართლისა და კანონიერების მოძულე აპარატჩიკების მითითებებით „იღვწიან დემოკრატიული სახელმწიფოს ასაშენებლად". ცხადია, მტაცებელ კომუნისტთა უბეში დაფრთიანებულთა ამ გარჯას მხოლოდ ერთი მიზანი და დანიშნულება გააჩნია - პირადი კეთილდღეობის დამკვიდრება, რადგან მათაც ადვილად მიუწვდებათ ხელი უცხოეთიდან მიღებულ კრედიტებსა თუ სხვა რამ დახმარებებზე. თუმცა, ხანმოკლეა და დროებითი, გაღატაკებულ-გაუბედურებულთაგან წაგლეჯითა და მითვისებით წელწამოდგმულთა აღზევება. უკანონოებსა და დამნაშავეებს აუცილებლად მოუწევთ კანონიერთა და მართალთა წინაშე წარდგომა, პასუხისგება, ჩადენილის მონანიება. დიდად დასალონებელია და სავალალო, რომ ამგვარად გადაგვარებულთ მაინც გამოუჩნდნენ მათებრ სამარცხვინო მემკვიდრეები, მართალია მცირედნი, მაგრამ წინამორბედთა დასაგმობი, სამარცხვინოდ გაკეთებულის უნებლიე გამგრძელებლები.

სწორედ, ამიტომ გვინდა შემოგთავაზოთ 1991 წლის 23 დეკემბერს დაწერილი წერილი, რომლის გამოქვეყნებაზეც ყველა მაშინდელმა დამფრთხალ-დაშინებულმა რედაქტორმა უარი განაცხადა. ვფიქრობთ, ათი წლის წინათ დაწერილის დღეს

**ნეტავი თქვენ, რომ თქვენი სიკვდილით წინ გაუსწარით საქართველოს უბედურებას!**



გვ. 8

# კარიკატურისტის კომენტარები

## XXI საუკუნის საქართველო




## ქვის ხანის საქართველო



შუქი არაა, გაზი არაა, გათბობა არაა, საჭმელი არაა, სასმელი არაა... XXI საუკუნის საქართველოში ხომ არა ვართ?

კარიკატურის იდეა – ნომადი ბართაია, მხატვრობა – ილია ჭრელაშვილისა

## კვიმატი



### ძველია, მაგრამ კარგია!

– მიშველეთ, ხალხო არა ხართ! – ისმოდა მამაკაცის ყვირილი მესამე სართულიდან – კაცმა შემჭამა, მომეშველეთ!

– კაცი არა ხარ? კაცმა როგორ მოგერია?! – დაუყვირეს ქუჩიდან.

– მიშველეთ, კაცი არა ვარ, თუთიყუში ვარ!

### დღევანდელი შავი იუმორი

დიდხანს იცდიან, ტრანსპორტი არ ჩანს. ზოგი ბუზღუნებს, ზოგი იგინება... ერთი მგზავრი, რომელიც მანამ ჩუმად იყო, თავისთვის ხმამაღლა ამბობს:

– ე, ბიძია, ბიძია, აღარაფერი მუშაობს, არც ავტობუსები, არც ფაბრიკები, არც ქარხნები, მარტო კუჭი მუშაობს, ამის გაჩერებას აღარ დაადგა საშველი!..



# რეტრო ანუ ისმინეთ!

გელა ჯიღაური

გვ. 7

დაბეჭდვას თავისებური გამართლება შეიძლება მოეძებნოს, რადგან ჩვენდა გულსატკენად, ქართველი ახალგაზრდებისა და სტუდენტების მცირე ნაწილს იოტისოდენადაც არ აფიქრებს უფსკრულში ჩაჩეხილი, დამპყრობლის უღელდადგმული სამშობლოს, გაუბედურებული ერის სვეგამწარებული ბედი. ამისი თქმის უფლებას გვაძლევენ დედაქალაქის ქუჩებში უაზროდ მოხეტიალე, სწავლა-განათლებასა და შრომას გამიჯნული, ალკოჰოლსა და ნარკოტიკებს მიძალებული, პორნოგრაფიულ ფილმებსა და ჟურნალ-გაზეთებს დაწაფებული, უცხოეთს უმიზნოდ გახიზნული და დანაშაულებრივ სამყაროში ჩათრეული ქალიშვილები და ჭაბუკები, ფული რომ გაუხდიათ კერპად, სხვა ყველაფერი კი არარაობად დაუგულებიათ.

მაშ ასე, გთავაზობთ ათი წლის წინანდელი უმძიმესი დეკემბრის შემზარავ დღეს დაწერილ წერილს ხელუხლებლად, ყოველგვარი შესწორების გარეშე.

## ვაი სირცხვილო! ვინ და რამ აგიბნიათ გზა-კვალი?

„მალე ყველას სათაურში გამოტანილი ეს სიტყვები აღმოხდება სტუდენტთა იმ ნაწილის შემხედვარეს, მათგან ნათქვამის გამგონეს, დღეს რომ „ოპოზიციას" ამოუდგა მხარში და საქართველოში „დემოკრატიის დამკვიდრებისათვის იბრძვის". ამ სიტყვებს ამბობდნენ 12 დეკემბერს, მთავრობის სახლის წინ გამართულ მიტინგზე შეკრებილები, უდიდესი ისტორიული მოვლენის – უკრაინის მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარების მომსწრენი. და როდესაც სმენადქცეულები საწუკვარ სიტყვებს ვისმენდით, სწორედ მაშინ თქვენი გამყიდველი ხელმძღვანელების, დემონიზებად დაგულებული დიაცების ღრიალით და კივილით, დოლებით მოადექით უმგვანოთა და თავლაფსხმულთა მუქაკვეთილად ჩახერგილ ავტობუსებს. გონებადაბინდულები ანგარიშმიუცემლად გაჰყვიროდით წინამძღოლთაგან ნაბრძანები რუმინელი დიქტატორის გვარს და თავგანწირულები ცდილობდით უმნიშვნელოვანესი მოვლენით მოგვრილი სიხარულის ჩახშობას. საბედნიეროდ, ეს ვერ შეძელით, ან კი როგორ მოახერხებდით, თქვენ ხომ თავისუფლებისა და ბედნიერების დაჯაბნვას ცდილობდით. ბოროტს ხომ კეთილი არასდროს დაუძლევია?!

ვაი სირცხვილო! რომ ამისი თქმა გვიწევს. მაგრამ მეტი რა ჩარაა, მორჩულ სნეულებას მხოლოდ მკურნალობით ეშველება. ამ შემთხვევაში წამლად მარტოოდენ მართალი სიტყვის ჩაგონება, რჩევის მიცემა მიგვაჩნია. თუმცა ძნელი შესაძლებელია, ისინი ახლოსაც არ მიიკარონ და მოუკიდებელნი, სალად მოაზროვნენი და ცამდე მართალნი". დიდად კი შევცდებით, რადგან თქვენმა გარეგნ სრულიად საპირისპირო დაგვანახა, უფრო სწორად, შეგვაშინა, რადგან სტუდენტის სახელდარქმეულ მცირე ნაწილს ოდნავი განსჯის უნარი არა გქონიათ, განდგომილთაგან წაქეზებულებს მთლად დაგიკარგავთ სიმართლის გრძნობა და რაც ყველაზე მეტად შემზარავია, გულიდან ამოგირეცხიათ სამშობლოს, ერის პატივისცემა და სიყვარული, პირადულისათვის განაცვალებიათ ქართველობა.

ვაი სირცხვილო! 12 დეკემბრის იმ საღამოს დიდი მოვლენით გახარებული ადამიანები თქვენ აშკარად გვეგდეთ, სტვენით და ღრიანცელით, თავზეხელაღებული ქალების კივილ-ხავილით გსურდათ მიტინგის ჩაშლა, ამაღლებული განწყობის მოშხამვა. მაგრამ მაინც დაგითმეთ, მოგიტევეთ, შერიგება და გაერთიანება გთხოვეთ. მერე ის იყო, თქვენს ბანაკში ჩვენგან წარმოგზავნილებმა თანხმობისა და საქართველოს თავისუფლებისათვის აუცილებელი ერთიანობის წინადადება შემოგთავაზეს, ტაშისცემით გამოეხატავდით დასტურს და რომელსაც ჯერი თქვენი მამამთავრის წარმოდგომაზე მიდგა, მიუღებელი პირობა წამოაყენეთ – თქვენგან დასაცავი ავტობუსების გაყვანა მოითხოვეთ. და ეს შეგნებულად გააკეთეთ, რადგან თქვენმა შემგულიანებლებმა კარგად იცოდნენ, რომ ამას არ ვიზამდით. ჰოდა გაუმართლებლად გაგულისებულ-გაფხორილებმა ისევ დაპირისპირება არჩიეთ და ერთ ტელეგადაცემაში ბრალი პრეზიდენტის მომხრეებს დასდეთ. ცხადია, ეს ყველაფერი განზრახულად გაკეთდა, ვინაიდან თქვენს იმ მოხდომას ლოგიკური გაგრძელება ჰქონდა ჩაფიქრებული – აქცია უნდა დაგეწყოთ ილიასა და აკაკი ძეგლის, პრეზიდენტისა და პარლამენტის თვალწინ. მოთხოვნებიც თქვენებური, უსუსური გქონდათ: „პოლიტპატიმრების" გათავისუფლება, პრესის „თავისუფლება" და... სტიპენდიების მომატება. თუმცა, პრეზიდენტის გადადგომასაც მოითხოვდით, დემოკრატიის „დამყარება" გწყუროდათ..."

ვაი სირცხვილო! ნამდვილად არ გვეგონა თუ XXI საუკუნის ზღურბლს მომდგარი ქართველი სტუდენტების მცირე ნაწილი ამგვარ უსუსურობას გამოიჩენდით, ქვეყნისა და ერის ავისმსურველთა სათამაშო ტიკინებად გადაიქცეოდით, ასე პრიმიტიულად და ცალმხრივად იაზროვნებდით, ურგებს მოითხოვდით. თქვენ ხომ 1990 წლის 28 ოქტომბრამდე კომუნისტებისა და კომკავშირის უტყვი მონები იყავით, უსიტყვოდ ასრულებდით მათს ნება-სურვილს. ლენინის, ბრეჟნევის, გორბაჩოვის, შევარდნაძისა და მათი ხროვის ერთგული ლაქიების პორტრეტებით მიაბიჯებდით საპირველმაისო და საშვიდნოემბრო აღლუმებზე, უხალისოდ, მაგრამ მაინც მონაწილეობდით ლენინურ შაბათობებსა და სხვა კომკავშირულ ღონისძიებებში. კაი დედ-მამის შვილები იყავით და ხმა ამოგეღოთ, წინააღმდეგობა გაგეწიათ. უმალ გვარიან სასჯელს მოგარტყამდნენ და შეიძლება, თანამდებობრივ სკამებზე წამოსკუპებული თქვენი მამიკოებისა და დედიკოების მათზე შემდგომში ჯდომის შესახებაც ეჭვქვეშლად. მერედა, გაწყობდათ ეს თქვენ? ცხადია, არა. ამიტომაც ხუჭავდით თვალებს, იხშობდით სმენას, მაგრამ კუმავდით პირს.

რატომ მაშინ არ გაწუხებდათ შევარდნაძისა და მისი მემკვიდრეებისაგან ციხე-საპატიმროებში გამომწყვდეული უამრავი პოლიტპატიმრის ბედი? რატომ მაშინ არ აქვეყნებდით ხელისუფლების საწინააღმდეგო, სალანძღავ წერილებს? რატომ მაშინ არ ითხოვდით სტიპენდიის მომატებას? თუ ყველაფერი თავზესაყრელად გქონდათ და თქვენი მოთხოვნების, გაუმაძღარი ჭირვეულობის დაკმაყოფილება მართლა სტიპენდიით ხერხდებოდა?

ბატონმა პრეზიდენტმა, მთავრობისა და ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებმა არაერთხელ საჯაროდ განმარტეს ჯაბა იოსელიანისა და გიორგი ჭანტურიას დაპატიმრების მიზეზები. ძნელი შესაძლებელია, საქართველოს ხელმყოფი, ქართველთა გაჩანაგების მოსურნე კულუმბეგოვიც პოლიტპატიმრად მიიჩნიოთ. გაკვირვებას იწვევს თქვენგან პრესის თავისუფლების მოთხოვნაც. ამდენი ოპოზიციური გაზეთის მკითხველები ნამდვილად ხმას არ უნდა იღებდეთ ამაზე. თავი დაგანებოთ მათ, განა ნებისმიერ სამთავრობო გაზეთშიც კი რომელსამე ვინმემ უარი გითხრათ წერილის გამოქვეყნებაზე? მათში ხომ ხშირად იბეჭდება პრეზიდენტისა და ხელისუფლებას დაპირისპირებულთა წერილები.

ახლა სტიპენდიაზე ვთქვათ: დაჟინებით მოითხოვთ მის მომატებას და ოდნავადაც არ უფიქრდებით იმას, რომ ამ თქვენი უმნო ახირების დაკმაყოფილებას მრავალი წინააღმდეგობა ელობება. არა და ზრდადასრულებულ სტუდენტ ქალიშვილებსა და ჭაბუკებს ნამდვილად უნდა შეგწევდეთ იმის განსჯისა და გაანალიზების უნარი, რომ უკიდურეს გაჭირვებაში მყოფ ქვეყანას ახლა არაფრით შეუძლია თქვენი მოთხოვნის დაკმაყოფილება. კომუნისტი მძარცველებისაგან სალაროდაცარიელებულ საქართველოს სხვა უფრო მწვავე და პირველ რიგში მოსაგვარებელი, გადაუდებელი საქმეებისათვის არა აქვს საჭირო თანხა. ძალზე ბევრი სახლია ასაშენებელი მიწისძვრით მოსრილ რაჭაში, იმერეთში, ქართლში. ბევრ იქაურ მოსახლეს კაპიკის საღირალი, თითზე გადასახვევი არაფერი დარჩა. ნურც უმოწყალოდ დამეწყრილ აჭარელთა ოჯახებს დაივიწყებთ. საქართველოდან უცხო ტომის ხალხთა გადასახლებისა და მათი კარ-მიდამოს გამოსასყიდი თანხებიც გაიხსენეთ. ისიც გვინდა შეგახსენოთ, რომ ათიათასობით პენსიონერს მცირე პენსიით გაჭირვებით გააქვს თავი, დიდი გასაჭირი ადგათ მარტოხელა მოხუცთა და უპატრონო ბავშვთა სახლების ბინადართ, მაგრამ მადლობა იმ დიდსულოვან ადამიანებს, მათ მეპატრონეებს, რომ ერთხელაც არ დაუწუწუნიათ, სიტყვა არ დაუძრავთ სიძნელეებსა და გაჭირვებაზე.

თქვენ კი მომიტინგე სტუდენტებო, აქციებს აწყობთ და სხვა უკანონო, ურგებ მოთხოვნებთან ერთად სტიპენდიის მომატებას მოითხოვთ. ერთი ესა ბრძანეთ: განა იმისი საფასური რა გააკეთეთ, რამდენსაც დღემდე ღებულობდით, ახლა მომატება რომ მოისურვეთ? ცხადია, გაკეთებაში თქვენს უმთავრეს მოვალეობას – სწავლას ვგულისხმობთ. ყველამ კარგად ვიცით, როგორ „სწავლობენ" თქვენნაირი სტუდენტები. პირდაპირ გეტყვით: ეგ თქვენი „სწავლა-განათლება" მთლიანად უნაყოფოა და უსარგებლო, ამას სწავლა და სპეციალობის დაუფლება არა ჰქვია. თქვენნაირ „სპეციალისტს" უცხოეთში ნებისმიერი ფირმა თუ კორპორაცია მხოლოდ შავ სამუშაოებზე თუ გამოიყენებს, უმაღლესი სასწავლებელი კი თქვენი ცოდნის დონის ახალგაზრდებს, ყოველგვარი მობოდიშების გარეშე დაატოვებინებს იქაურობას. დიახ, სრულ სიმართლეს მოგახსენებთ „დემოკრატიის მოსურნეო" სტუდენტებო, თქვენ ურგებსა და უკანონოს მოითხოვთ! თანაც რა დროს, როდესაც არნახულ ბლოკადაში ვართ მოქცეულები. მოითხოვთ, რადგან მშობლებისაგან უსაშველოდ განებივრებულებს აღარ გაკმაყოფილებთ უძვირესი „ივ სენ ლორანის", „არმანის", „ვერსაჩეს" ულტრათანამედროვე სამოსი, ყელში ამოგივიდათ სუპერსიგარეტები, დელიკატესი საკვები, სახელგანთქმული მარკის ავტომობილები და სხვა ბევრი სიკეთე, რაზეც ხელის მიწვდომა კი არა, გაფიქრებაც არ შეუძლიათ თქვენგან იმ თანატოლებს, თანაკურსელებს, თქვენზე უკეთესად რომ სწავლობენ, ჭეშმარიტი მამულიშვილები რომ არიან. ისინიც ღებულობენ მონაწილეობას მიტინგებში: გამოდიან, მოითხოვენ „ოპოზიციონერებისა" და თქვენს გონზე მოსვლას, შერიგებას, საქართველოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობას, კანონიერი პრეზიდენტის მხარდაჭერას, ერთგულებას. თქვენ კი მოღალატე, გამყიდველი წინამძღოლების გარდა სხვას არავის უსმენთ. თქვენსავე დგახართ, ჯიუტად განაგრძობთ „მოთხოვნების" წამოყენებას.

(გაგრძელება მომდევნო ნომერში)

გამომცემელი და მთავარი რედაქტორი
ტარიელ ფუტკარაძე

პასუხისმგებელი რედაქტორი
ლელა ხაჭაპურიძე

რედაქციის მისამართი:
ქუთაისი, ჭავჭავაძის 32
☎ (8 231) 2-16-03; (8 77) 47-69-05
ელ. ფოსტა: kuji@posta.ge
გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/kugi

გაზეთი რეგისტრირებულია ქუთაისის საქალაქო სასამართლოში №12/5/3-4818

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ. გამოქვეყნებულ წერილებში მოყვანილი ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.